ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 16 სექტემბერი 2008 №213 (3437) ფასი 50 თეთრი


საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველო ნატოში უფრო მალე შევა, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაში




## დღეს მერვედპასუხების დღეა


„ბაია" — „ოლიმპს" სენსაციის სუნი უდის

ქართული საფეხბურთო სეზონი ნელ-ნელა ხურდება.

ორიოდ დღის წინ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო, დღეს-ხვალ-ზეგ კი უკვე დავით ყიფიანის სახელობის თასის „ყაზბეგის" გათამაშების მერვედფინალია.

სწორედ ამ მატჩების შემდეგ გაირკვევა ის რვა გუნდი, რომლებიც მეოთხედფინალიდან გააგრძელებენ თასისთვის ბრძოლას.

წყვილთა უმეტესობაში თითქმის ყველაფერი გარკვეულია, თუმცა არის ორი თამაში, რომელთაც სენსაციის სუნი ასდით: „სამტრედია" — „ვიტ ჯორჯია" და „ბაია" — „ოლიმპი".

სამტრედიელებმა სტუმრად 1:2 წააგეს, ზუგდიდელებმა კი „ოლიმპს" რუსთავში 1:1 გაუხერხეს და ვნახოთ, რა იქნება ახლა...

# ექტორ კუპერი ჩვენთვის მუნჯია

## ლოკომოტივიდან რუსთაველამდე



საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ექტ-ორ რაულ კუპერი თბილისში იცხოვრებს — ეს საკითხი კონტრაქტის გაფორმებამდეც ცნობილი იყო და არგენტინელმა პირობის შესრულება დაიწყო.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში კუპერი ორ მატჩს დაესწრო („ლოკომოტივი" — „მესხეთი" და „ოლიმპი" — „ზესტაფონი"), „გაგრა" — „დინამოზე" კი თავისი თანაშემწე ხოსე ფანტაგუსი გააგზავნა. მოკლედ, საქმე დაიძრა და ვნახოთ, რა გამოდნება აქედან.

ამასობაში კი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კუპერს საცხოვრებელი სახლიც მოუძებნა — როგორც შევიტყვეთ, მწვრთნელი პირობებით და ნაქირავები სახლის ადგილმდებარეობით კმაყოფილია და უკვე რუსთაველის გამზირზეც შენიშნეს თანაშემწესთან ერთად მოსეირნე.

გაირკვა ისიც, რომ ცოტა ხანში კუპერი თბილისში ოჯახსაც ჩამოიყვანს.

და ერთიც: ლამის კონტრაქტის გაფორმებისთანავე არგენტინელმა სპეციალისტმა შორს დაიჭირა ქართველი ჟურნალისტებისგან. მას რომ ინტერვიუების მიცემა საკლუბო მუშაობისასაც არ უყვარდა, უცხოური პრესისგან ვიცოდით, ახლა კი ამის გამოცდა საკუთარ თავზე მოგვიწევს — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, კუპერი მხოლოდ პრესკონფერენციებზე გაესაუბრება ჟურნალისტებს...

რა გაეწყობა, საქმე გამოვიდეს და...

**ჯაბა ზალამბერიძე**

# შეყილაძეს შპიტალი შეყილაძემ მოუგვარა

ავსტრიულ შეკრებაზე მყოფმა საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა პირველი ტესტ-მატჩი ჩაატარა და კლუბ „შპიტალის" სარეზერვო გუნდს 3:2 მოუგო.

ხუთივე გოლი შესვენების შემდეგ გავიდა. ავსტრიელები ორჯერ იგებდნენ თამაშს, მაგრამ იტალიური „ემპოლის" ჭაბუკთა გუნდის თავდამსხმელმა ირაკლი შეყილაძემ თავი ჰეთ თრიქით გამოიჩინა და თავისიანებს მოაგებინა.

ირაკლი შეყილაძემ პირველი ორი გოლი ნიკა ძალამიძის და ჯანიკო ანანიძის პასებით შეაგდო, მესამედ კი ინდივიდუალური თამაშით გამოიჩინა თავი.

გელა შეყილაძის გუნდი მეორე ამხანაგურ მატჩს 17 სექტემბერს გამართავს „კლაგენფურტთან".

„შპიტალ 2"-თან კი ჩვენებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: *მაქაცარია, ამაშუკელი (ჯიმშელეიშვილი 65), ფუტკარაძე, კვეკვესკირი, აფაქიძე, ელიზბარაშვილი (მ. კობახიძე 68), ანანიძე, ძალამიძე, გაბაშვილი (ჯიშკარიანი 55), ჩაფიძე (ქანტურია 70), ი. შეყილაძე (ხოჭოლავა 70).*

**ჯაბა ზალამბერიძე**

# კორღალიძე და არავინ სხვა

მოლდოვურმა „დაჩიამ" სტუმრად 1:0 დაამარცხა „ტირასპოლი".

კიშინიოველთაგან ლევან კორღალიძემ სრულად ითამაშა, სერგი ორბელაძე სათადარიგო იყო, ჯაბა დვალი კი ტრავმირებულია.

„დაჩიას" 21 ქულა აქვს და მეორე ადგილზეა.

ამავე ტურში მამუკა ლომიძის „ზიმბრუმ" სტუმრად „ტილიგულს" 4:0 მოუგო, მაგრამ ქართველ მცველს არ უთამაშია.

**ჯაბა ზალამბერიძე**

# თამაზ პერტია: მრცხვენია ჩემების თვალებში შეხედვის



ლატვიური „დინაბურგის" ქართველმა თავკაცმა თამაზ პერტიამ შინ „ვენტსპილსთან" 0:0 დასრულებულ მატჩში, განაცხადში არმყოფი ფეხბურთელი ათამაშა.

მომხდარის გამო „ვენტსპილსმა" ლატვიის ფეხბურთის ფედერაციაში იჩივლა.

„მასპინძელთა შორის თამაშობდა ფეხბურთელი, რომელიც განაცხადში არ იყო, რასაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. პროტესტს შევიტანთ და იმედი მაქვს, „ვენტსპილსს" სამ ქულას მისცემენ" — განაცხადა „ვენტსპილსის" მწვრთნელმა რომან გრიგორჩუკმა.

რაც შეეხება პერტიას, ის საკუთარ შეცდომას არ უარყოფს: „არ მესმის, როგორ დავუშვით ეს შეცდომა... ჩემი შეგირდების, რომლებმაც მოქმედი ჩემპიონის წინააღმდეგ კარგად ითამაშეს, თვალებში შეხედვის მრცხვენია, რადგან ახლა ამ ქულას ჩამოგვაკლებენ".

**ჯაბა ზალამბერიძე**

# კაუნასი და ოდენ მანჩხავა

ლიტვის ჩემპიონატის მე-20 ტურში ნუკრი მანჩხავას და აკაკი ხუბუტიას „კაუნასმა" შინ 1:0 სძლია „შიულიაის".

მანჩხავამ სრულად ითამაშა, ხოლო ხუბუტია უკვე მერამდენე ტურია, მოედანზე აღარ გამოჩენილა...

20 ტურის შემდეგ „კაუნასი" 37 ქულით მე-2 ადგილზეა და ჩემპიონატის ლიდერ „ეკრანასს" ერთი ქულით ჩამორჩება.

# დეკანოსიძე ისევ უქმობს

ბელარუსის ჩემპიონატის 22-ე ტურმაც ბორისოვის ბატე-ს ქართველ ახალწვეულ ლაშა დეკანოსიძის გარეშე ჩაიარა.

ბორისოველები სტუმრად „ნაფტანს" 2:1 მოუგეს.

ახალგაზრდა ქართველი ნახევარმცველი 18-კაციან სიაში ვერ მოხვდა.

ხვალ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში დეკანოსიძის ბატე სტუმრად მადრიდის „რეალს" შეხვდება.



# ზვიად მეტრეველი: არ შეგვაფასეს და დაისაჯნენ

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ერთი ძალიან მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდა — ქვეყნის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" დებიუტანტ „გაგრასთან" 1:2 წააგო. თანაც ისეთი თამაში იყო, რომ დინამოელებს შემთხვევით არ წაუგიათ. პირველი გოლი გიორგი ლორიამ შორიდან გაუშვა, აი, მეორე გოლზე კი ჩვენი ნაკრების მეკარეს შანსი არ ჰქონდა. ამ ლამაზი გოლის გამტან ზვიად მეტრეველს გუშინ გავესაუბრეთ...

— ალბათ, „დინამოს" დამარცხებას ვერ წარმოიდგენდი...

— ჩვენ ყველანი სამი ქულისთვის გავედით მოედანზე. საბრძოლო განწყობა გვქონდა და, საბედნიეროდ, წარმატებასაც მივაღწიეთ. უზომოდ გახარებულები ვართ.

— როგორ ფიქრობ, მეტოქემ საკადრისად ვერ შეგაფასათ?

— მათ ეგონათ, რომ ადვილად დაგვამარცხებდნენ. არ შეგვაფასეს და დაისაჯნენ კიდეც.

— შენს გოლზე რას იტყვი?

— ლამაზი გოლი გამოვიდა, თანაც გამარჯვების მომტანი და ეს ორმაგად მახარებს. არ შემიძლია, არ ვთქვა გიორგი ტყეშელაშვილის პასზეც — მან ბურთი თავზე დამასვა.

— წლეულს „გაგრას" რა მიზანი აქვს?

— პირველ ტურში „დინამოს" კი ვძლიეთ, მაგრამ რეალურად უნდა შევხედოთ, რა შეგვიძლია. წლეულს ჩვენი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა.

**ნუკრი ლოლაძე**

### გერმანია
II ბუნდესლიგა
მიუნხენი 1860 2:0 დუისბურგი

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
ლუგანო 4:1 ვინტერთური

### იტალია
სერია B
სალერნიტანა 3:2 ფროზინონე
ასკოლი 1:1 ტრიესტინა
სერია C1/B
არეცო 2:2 სტაბია

### საფრანგეთი
II დივიზიონი
ლანსი 0:1 მეცი

### ჰოლანდია
II დივიზიონი
ექსელსიორი 3:0 იგლზი
ვენლო 3:1 ოსი
მაასტრიხტი 3:1 ეინდჰოვენი
ვეენდამი 2:1 აპელდორნი
ვალვაიკი 1:1 ჰაარლემი
ტელსტარი 1:1 როზენდალი
ომნივოლდი 1:0 კამბური
დენ ბოსხი 1:1 სიტარდი
ჰელმონდი 1:0 დორდრეხტი
ზვოლე 4:0 ემენი

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
სლავია 2:0 იაბლონეცი

### დანია
სუპერლიგა
ოდენსე 2:0 სონდერიისკე

### ნორვეგია
ტიპელიგა
ვოლერენგა 1:2 ლინი

### შვედეთი
ალსვენსკა
გაის 2:1 იურგორდენი
ლიუნგსკილე 0:0 ტრელებორგი
სუპერეტა
ლანდსკრონა 0:0 ატვიდაბერგი
ენჩიოპინგი 1:0 სირიუსი
ბრომაპოიკარნა 0:2 ვასბი

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა
ლაჰტი 4:0 მიუპა

### ინგლისი
პრემიერლიგა
ტოტენჰემი 1:2 ასტონ ვილა

### ირლანდია
I დივიზიონი
ფინგალი 2:3 უეძსფორდი

# გიორგი მაკარიძე: კუპერი შეტევის კაცია 1 ნოემბერს... გერმანიაში?



ძმები არველაძეების ფონდი მალე გერმანულ კლუბში აპირებს ერთი ან ორი ქართველი ფეხბურთელის მივლინებას. ეს თვითონ შოთა არველაძემ გვითხრა და, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, შევიტყვეთ, რომ ერთ-ერთი მათგანი გიორგი მაკარიძეა. 18 წლის მაკარიძე კვლავ თბილისის „დინამოს" საკუთრებაა, მაგრამ თამაში არ უნევს. მას გუშინ ვესაუბრეთ და ცოტა ეროვნული ნაკრების განვლილ მატჩებზეც ვკითხეთ...

— როდემდე გაგრძელდება „დინამოში" შენი უთამაშებლობა?

— არ ვიცი. კლუბთან კონტრაქტი 1 ნოემბერს მიმთავრდება და მერე წავალ. მანამდე ვერაფერს ვაკეთებ. თან ახლა ისედაც ტრავმა მაქვს.

— რა სახის ტრავმაა?

— ხელი მაწუხებს და ხუთი დღე ვერ ვივარჯიშებ.

— ნაკრებში ვარჯიშისას დაშავდი?

— მაშინაც მტკიოდა ხელი, თუმც მაინც ვვარჯიშობდი.

— ნაკრების განვლილ თამაშებზეც გკითხავ. ექტორ რაულ კუპერზე რას იტყვი, როგორ ფიქრობ, მალე მოიტანს შედეგს?

— კარგი მწვრთნელია, მომთხოვნია და მკაცრი. კუპერი ძალიან მონდომებულია და წესით, პროგრესი მალე ექნება ნაკრებს. ეს ოქტომბრის მატჩებში უკვე გამოჩნდება. მას უფრო შემტევი ფეხბურთი უყვარს.

— შემტევი?!

— დიახ. ასე შევატყვე.

— და რაც შეეხება „დინამოდან" წასვლას. გაქვს რეალური ვარიანტები?

— რამდენიმე ვარიანტი მაქვს, მაგრამ ჯერ ვერ ვიტყვი. ნოემბრამდე მაინც არ აქვს აზრი.

**ილია ნანოგაშვილი**

# დაკარგული გაბონელები და დაბრუნებული ჭელიძე



გიორგი ჭელიძე

**როგორც** შევიტყვეთ, გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ „ზესტაფონში" დაბრუნება გადაწყვიტა.

იმერელთა ყოფილი ფეხბურთელი და კლუბის ხელმძღვანელები ერთმანეთს რუსთავში, „ოლიმპი" — „ზესტაფონის" საპირველტურო მატჩისას შეხვდნენ და მოილაპარაკეს.

ერთ დროს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი ჭელიძე რამდენიმე წელი ირიცხებოდა იმერულ კლუბში, მაგრამ შემდეგ რაღაც უთანხმოება მოხდა და წასვლა არჩია.

ისე გამოვიდა, რომ ეს დრო გიორგის, ფაქტობრივად, გაუცდა — გასული სეზონი ბოლნისის „სიონში" ჩაამთავრა, მერე კი თბილისის „ლოკომოტივში" ვარჯიშობდა...

ჭელიძე „ზესტაფონს" უახლოეს დღეებში შეუერთდება.

და ერთიც: გაბონის ნაკრების კაპიტანი პოლ კესანი ისევ გაუჩინარებულია და ზესტაფონელებმა მის შესახებ არაფერი იციან. ამას დაემატა ეტიენ ბიტოოც, ვინც კესანის დარად, „ზესტაფონიდან" გაუფრთხილებლად აიბარგა და დღემდე არ გამოჩენილა საქართველოში.

**ნუკრი ლოლაძე**

# კვარაცხელიას ხაზი უთხრეს

**ბელარუსის** ჩემპიონატის 22-ე ტურში გივი კვარაცხელიას „მტზ-რიპო" გროდნოში „ნემანს" 1:1-ზე გაეყარა და 46 ქულით მე-2 ადგილზეა.

ქართველმა ნახევარმცველმა სრულად ითამაშა. მეორე ტაიმის დასაწყისში მისი დარტყმის შემდეგ ბურთი ხარიხიდან კარს შიგნით დაეცა, თუმცა მსაჯებმა ეს ვერ დაინახეს და გოლი არ ჩათვალეს.

„მტზ-რიპო" ჩემპიონთა ლიგაში გასულ ბატე-ს ქულით ჩამორჩება.

**კახა შალამბერიძე**

# დემეტრაძემ ბაკი გოლით დაიწყო



**აზერბაიჯანული** „ბაკის" ქართველმა ლეგიონერმა გიორგი დემეტრაძემ ახალ გუნდში პირველი გოლი გაიტანა.

„ბაკიმ" აზერბაიჯანის ჩემპიონატში არსებული პაუზით ისარგებლა და შეკრებას თურქეთში გადის.

ბაქოელებმა ამხანაგურ მატჩში იქაურ მეორელიგელ „ბელედიესფორს" 6:2 სძლიეს, დემეტრაძე კი ერთი გოლით გამოირჩა.

**კახა შალამბერიძე**

# ქართველები უცხოეთში

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | ჯენოა 0:2 | 0 | | 1 | 0 | 19 |
| ლევან მჭედლიძე | პალერმო | შ | რომა 3:1 | 0 | | 0 | 0 | 10 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | არსენალი 0:4 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 18 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | დორტმუნდი 3:3 | 11 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 3 |
| ლევან ყენია | შალკე | ს | დორტმუნდი 3:3 | 0 | | 0 | 0 | 3 |
| ალექსანდრე იაშვილი | კარლსრუე | ს | აინტრახტი — გად. | | | 2 | 0 | 14 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| მათე ღვინიანიძე | მიუნხენ 1860 | შ | დუისბურგი — წუხელ | | | 1 | 0 | 18 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | აუგსბურგი | შ | ფრაიბურგი 1:3 | 65 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 13 |
| დავით თარგამაძე | ფრაიბურგი | ს | აუგსბურგი 3:1 | 0 | | 0 | 0 | 2 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | ლოკომოტივი | ს | ნალჩიკი 1:0 | 0 | სათადარიგო | 6 | 0 | 8 |
| დავით კვირკველია | რუბინი | შ | დინამო 1:0 | 90 | გააფრთხილეს | 18 | 3 | 1 |
| ლაშა სალუქვაძე | რუბინი | შ | დინამო 1:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 12 | 0 | 1 |
| ნუკრი რევიშვილი | რუბინი | შ | დინამო 1:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| გოგიტა გოგუა | ნალჩიკი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 17 | 1 | 10 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | ნალჩიკი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 21 | 3 | 10 |
| დავით სირაძე | ნალჩიკი | შ | ლოკომოტივი 0:1 | 90 | | 19 | 2 | 10 |
| ლევან გვაზავა | ლუჩ-ენერგია | ს | ცსკა 1:4 | 0 | | 18 | 1 | 14 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ივანიშვილი | ციურიხი | ს | ვადუცი 7:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| **ჩეხეთი. გამბრინუსლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი განუგრავა | ბოლესლავი | ს | ბუდეიოვიცე 1:1 | 0 | | 1 | 0 | 3 |
| დიმიტრი ტატანაშვილი | პლზენი | ს | პრჟიბრამი 2:2 | 0 | | 5 | 1 | 10 |
| **სლოვაკეთი. კორგონ ლიგა** | | | | | | | | |
| ირაკლი ლილუაშვილი | ნიტრა | შ | კოშიცე 2:1 | 90 | 1 გოლი | 8 | 1 | 6 |
| **დანია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| დავით დევდარიანი | ორჰუსი | ს | ოლბორგი 2:0 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| **დანია. I დივიზიონი** | | | | | | | | |
| გიორგი ფოფხაძე | ვიბორგი | შ | სილკებორგი 3:2 | 90 | | 4 | 0 | 1 |
| **უკრაინა. თასი** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | დინამო | ს | ოლკომი 5:0 | 90 | 1 გოლი | | | |
| ოთარ მარცვალაძე | დინამო | ს | ოლკომი 5:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| დავით იმედაშვილი | დინამო | ს | ოლკომი 5:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| კახა ალადაშვილი | დინამო | ს | ოლკომი 5:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | | | |
| ვასილ გიგიაძე | ტავრია | ს | ცსკა 3:0 | 72 | შეცვალეს | | | |
| ლადო ბურდული | ტავრია | ს | ცსკა 3:0 | 0 | | | | |
| კახა მჟავანაძე | ჩერნომორეცი | ს | ობოლონი 0:1დ.დ. | 90 | | | | |
| ჯაბა კანკავა | დნიპრო | ს | კრიმტეპლიცა 3:1 | 0 | ტრავმირებულია | | | |
| სანდრო კობახიძე | დნიპრო | ს | კრიმტეპლიცა 3:1 | 0 | | | | |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — I წრე. 1 ტური

მგლები 0:1 სიონი
ბორჯომი 0:1 ვიტ ჯორჯია
გაგრა 2:1 დინამო
ოლიმპი 0:0 ზესტაფონი
ლოკომოტივი 2:0 მესხეთი
*სპარტაკი ისვენებდა*



საქართველოს ნაკრების თავკაცი ჰექტორ რაულ კუპერი საქმეს შეუდგა

# დინამო, ნუ იყურები ზემოდან!

**ოპტიმისტები** ყველა ჩემპიონატს იმედით უყურებენ, პესიმისტები კი პირიქით, რაც აქამდე იყო, იმაზე უარესი დონე იქნება. ასეა თუ ისე, ეს ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატია, აქ გვეზრდებიან ფეხბურთელები და კარგია თუ ცუდია, ყურადღება უნდა მივაქციოთ.

თქმა რად უნდა, მე-20 ეროვნულმა დაწყებამდე დაკარგა პატარა ხიბლი, რადგან ერთი კარგი კლუბი მოაკლდა: „ამერის" ფეხბურთელები სხვადასხვა გუნდებში მიმოიფანტნენ.

სამაგიეროდ, ისიც ვთქვათ, რამდენი მოთამაშე დაუბრუნდა მშობლიურ ჩემპიონატს უცხოეთიდან: გიორგი ონიანი, გიორგი სეთურიძე, კოკა მიკუჩაძე, სანდრო იაშვილი, ლადო ახალაია.. ერთის მხრივ, ეს კარგია, მაგრამ მწარე რეალობაა, რომ ამ ბიჭებმა უცხოეთში თავი ვერ გამოიჩინეს და ახალი იმედებით დაუბრუნდნენ საქართველოს.

პირველი ტურის 5 მატჩში 7 გოლი გავიდა, მხოლოდ „ლოკომოტივმა" მოიგო ჰანდიკაპით, დანარჩენთაგან კი ბოლო წუთამდე არავინ იცოდა, რომელ მხარეს გადაიხრებოდა სასწორი.

ჩემპიონატის პირველი გოლი წინა სეზონის ერთ-ერთმა აღმოჩენამ, „ვიტ ჯორჯიას" შემტევმა ჯაბა ლიპარტიამ შეაგდო, ვინც 14 წუთით დაასწრო ჯერჯერობით საუკეთესო ბომბარდირ რატი ალექსიძეს — „ლოკომოტივის" ფორვარდმა ახალციხის „მესხეთთან" დუბლი გაიფორმა.

პირველი გაძევებული ფეხბურთელი „მგლების" გიორგი რეხვიაშვილია, ვისმა საჯარიმოში ხელით თამაშმაც ბოლნისის „სიონს" ბოლო წუთებზე გადამწყვეტი გოლი გაატანინა და 1:0 მოაგებინა. არც იყო გასაკვირი ეს შედეგი, რაკილა „მგლების" შემადგენლობა საკმაოდ მოსუსტებულია, „სიონის" კი პირიქით, მოღონიერებული.

უგოლო, მაგრამ უდავოდ ტურის ცენტრალური მატჩი იყო რუსთავში, სადაც „ოლიმპმა" „ზესტაფონს" უმასპინძლა.

ბევრის აზრით, ამ ორ გუნდს ჩემპიონობის ყველაზე დიდი შანსი აქვს, თუმც ნუ დაგავიწყდებათ, მათ გარდა „დინამო", „ვიტ ჯორჯია" და გადამეტებად თუ არ ჩაგვითვლით, „ლოკომოტივიც" არიან.

რუსთავის „ფოლადზე" თბილისში უკვე დაბინავებული ჰექტორ რაულ კუპერიც მივიდა. ეს არ იყო მომენტებით დახუნძლული მატჩი, თუმც არც მოსაწყენი ეთქმოდა. ფეხბურთელებმა კბილებით იბრძოლეს, ნამატჩევს კი თემურ მახარაძემ და ხვიჩა ქასრაშვილმა კომპლიმენტები გაცვალეს — მაგარი გუნდი გყავსო, ერთმანეთს უთხრეს...

„მგლებისა" არ იყოს, „ბორჯომის" კონტინგენტიც ველარაა ისეთი, შარშან პირველ წრეში რომ იყო. აკი ხეობაში ჩასულმა „ვიტ ჯორჯიამ" შეტევები დაატეხა თავს მასპინძლებს და მეკარე ბექა შეყრილაძეს რომ არ ეყოჩაღა, ანგარიში 0:1-ზე მსუყე იქნებოდა.

„ლოკომოტივს" ამჯერად ვიტალი დარასელიამ და რატი ალექსიძემ ულიდერეს. ვაკელებს ლევან ცქიტიშვილი, გიორგი ლომაია და ირაკლი ჩირიკაშვილიც ჰყავთ, ასე რომ, ამ გუნდს ცხრილის ქვედა ნაწილში ნუღარ მოვძებნით. „ლოკომოტივმა" „მესხეთი" ბოლო 25 წუთში გატეხა.

და ტურის სენსაციაც, რომელიც გლდანში გამოცხვა: დებიუტანტმა „გაგრამ" სტუდენტური და სკოლის ასაკის ბიჭებით სძლია ჩემპიონ „დინამოს", თანაც, ვინც თამაშს უყურა, დაგვეთანხმება, ამ ძლევას ყარაულის თოფის გასროლასთან საერთო არაფერი ჰქონია — გაგრელებმა რაინერ ცობელის გუნდზე უკეთ ითამაშეს, ზვიად მეტრეველის ბოლო წუთებზე გატანილი კი ულამაზესი გამოვიდა: ზურგით მდგომმა თავით გადაუგდო ბურთი მეკარე გიორგი ლორიას, ვინაც პირველი გოლი... შორიდან გაუშვა.

აღსანიშნავია ცობელის მატჩისშემდგომი სიტყვები, ჩემმა ფეხბურთელებმა აწეული ცხვირებით ითამაშესო.

რა გითხრათ, რა უნდა იყოს ამის მიზეზი? „დინამო" ჯერ ნამდვილად არ არის იმ დონის გუნდი, საქართველოს ჩემპიონატშიც კი ზემოდან ყურების საბაბი ჰქონდეს...

**ილია ნანოგაშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| გაგრა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სიონი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვიტ ჯორჯია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ზესტაფონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ოლიმპი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ცხინვალი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| დინამო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბორჯომი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მგლები | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| მესხეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |



ნიკა გუმარაშვილი და გიორგი სომხიშვილი: ასე გაიხსნა მე-20 ეროვნული ჩემპიონატი ვაკეში



გაგრელები ვერც გიორგი მერებაშვილმა (№10) გატეხა

### სიმბოლური ნაკრები

ჯაბა ლიპარტია — *ვიტ ჯორჯია*
რატი ალექსიძე — *ლოკომოტივი*
ზვიად მეტრეველი — *გაგრა*
ვიტალი დარასელია — *ლოკომოტივი*
გიორგი ფეიქრიშვილი — *ოლიმპი*
გიორგი გაბედავა — *გაგრა*
თამაზ ჩარგეიშვილი — *გაგრა*
ერნესტ აკუასაგა — *ოლიმპი*
დავით გიგაური — *გაგრა*
გოიომო ფრიდოლინი — *ზესტაფონი*
ბექა შეყრილაძე — *ბორჯომი*

### მეორე ტური

20 სექტემბერი. შაბათი
მგლები – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – გაგრა
21 სექტემბერი. კვირა
მესხეთი – ოლიმპი
სიონი – ზესტაფონი
დინამო – სპარტაკი
*ლოკომოტივი ისვენებს*

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 2 | ალექსიძე | *ლოკომოტივი* |
| 1 | გაბედავა | *გაგრა* |
| | მეტრეველი | *გაგრა* |
| | ვაწაძე | *დინამო* |
| | ლიპარტია | *ვიტ ჯორჯია* |
| | კაკაშვილი | *სიონი* |

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

www.pfl.ge

## მერვედფინალი. საპასუხო მატჩები

**16 სექტემბერი**

**კოლხეთი** ფოთი — **სიონი** ბოლნისი (0:3)
**მსაჯები:** ლ. სილაგავა, ბ. ჭიჭინაძე, ზ. ხუციშვილი, ზ. ასკაროლლი

**სამტრედია** — **ვიტ ჯორჯია** თბილისი (1:2)
**მსაჯები:** მ. ბეუქლიშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, ა. გუნთაძე

**17 სექტემბერი**

**ჭიათურა** — **ლოკომოტივი** თბილისი (0:3)
**მსაჯები:** ვ. გუმბერიძე, ზ. ბერულავა, თ. ხუჭუა, ი. ურუშაძე

**თბილისი** — **დინამო** თბილისი (1:6)
**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, ზ. გურგენაძე, დ. კურტანიძე, თ. გვანცელაძე

**სპარტაკი** ცხინვალი — **მერანი** მარტვილი (1:0)
**მსაჯები:** გ. დოგრაშვილი, ე. ნარმანია, დ. სანოძე, ჯ. ბუიშვილი

**გურია** ლანჩხუთი — **ამერი** თბილისი (2:1)
**მსაჯები:** ა. ნონიკაშვილი, ლ. თოდრია, ზ. ფიფია, ა. კრიჭაშვილი

**ჩიხურა** საჩხერე — **ზესტაფონი** (0:5)
**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, კ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი, დ. სანაია

**18 სექტემბერი**

**ბაია** ზუგდიდი — **ოლიმპი** რუსთავი (1:1)
**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია, ზ. ჯვარიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე

# ვინ ჩაეწერება რვეულში და რა შუაშია კალაძე?

**საქართველოს** თასის მერვედფინალის საპასუხო შეხვედრები სამ დღეზეა გადანაწილებული.

რამდენიმე წყვილს ინტრიგა პირველმა მატჩმა დაუკარგა — ქვეყნის ჩემპიონმა თბილისის „დინამომ" საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ექტორ რაულ კუპერის თვალწინ შეარცხვინა „თბილისი" — 6:1 გაანადგურა და თავი მეოთხედფინალში დაიგულა. თასის მფლობელმა „ზესტაფონმა" კი მეზობელი საჩხერის „ჩიხურა" 5:0 დაიბრიყვა და საჩხერეში მოვალეობის მოხდის მიზნით ჩავა.

კუპერმა „ლოკომოტივი" — „ჭიათურის" პირველ ნახევარსაც შეავლო თვალი და სამივე გოლი ნახა.

რა უნდა მოხდეს ჭიათურაში, რომ „ლოკომოტივმა" ამხელა უპირატესობა გაფლანგოს?!

ბოლნისის „სიონმაც" 3:0 მოუგო ფოთის „კოლხეთს" და მომდევნო ეტაპზე გასვლა არ უნდა გაუჭირდეს.

ისე, ფოთელებს რომ სენსაციის მოხდენა შეუძლიათ, თასის მეთექვსმეტედფინალში ახალციხის „მესხეთის" დამარცხებითაც დაამტკიცეს.

დიდი ბრძოლის გადატანა მოუწევს ზუგდიდში რუსთავის „ოლიმპს". „ბაიამ" რუსთავიდან სასურველი ფრე (1:1) წაიღო. ჰერბერტ ცანკერის გაწვრთნილმა ზუგდიდელებმა „ოლიმპს" არაფერი დაუთმეს, კოხტად იბურთავეს და არ უნდა გაგვიკვირდეს, მომდევნო ეტაპზე თუ გავიდნენ.

„ოლიმპის" მთავარი თავსატეხი ახალგაზრდა ნიკა ძალამიძე იქნება, რომელმაც „ფოლადზე" რუსთაველების ნახევარდაცვა გააწამა.

თბილისის „ვიტ ჯორჯიასაც" არ ელის იოლი გასეირნება. „სამტრედიამ" მცხეთაში ბოლო წუთზე მოახერხა გატანა და შინ იმედი წაილო. ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ შანსს კახა კალაძის თანაქალაქელები.

ლანჩხუთში ჩადის თასის ორგზის მომგები თბილისის „ამერი". „გურიამ" თბილისში 2:1 იმარჯვა და საკმაო ფორა მოიპოვა. ამერელთა საქმეს ისიც ართულებს, რომ ახლახან გამოჯანმრთელებულმა რატი წინამძღვრიშვილმა ნაოპერაციევი მუხლი იტკინა და თავის გუნდს ვერ დაეხმარება.

სხვათა შორის, ლანჩხუთელების ერთადერთი გოლი სწორედ რატიმ გაუტანა.

ცხინვალის „სპარტაკმა" მარტვილის „მერანს" სტუმრად მინიმალური სხვაობით სძლია და მეოთხედფინალში გასვლის უკეთესი შანსი აქვს.

მატჩები 16 საათზე დაიწყება.

**ნუკრი ლოლაძე**

# ჩვენი მსაჯები უეფას თასზე

**საქართველოს** თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩები დღეს, ხვალ და ზეგ ჩატარდება.

თასის გათამაშების თითოეულ ეტაპზე მსაჯები არ იცვლებიან ხოლმე, მაგრამ ახლა საპატიო მიზეზი არსებობს: 18 სექტემბერს ქართველ მსაჯთა ბრიგადა — ლევან ფანიაშვილი, ლევან მიქელაძე, გურამ ჩიგოგიძე და ლევან კვარაცხელია — „სლავიასა" და „ვასლუის" უეფას თასის შეხვედრას მოემსახურება პრაღაში.

**ნუკრი ლოლაძე**




# საქართველოს 20 ჩემპიონატი

## პირველი ლიგა

2 ტური

### აღმოსავლეთი

**ჩიხურა 5:1 ნორჩი დინამო**

1:0 დოლონაძე (42), 2:0 გულიაშვილი (48), 3:0 მგალობლიშვილი (63), 3:1 მამედოვი (70), 4:1 ნოზაძე (85), 5:1 გულიაშვილი (88)

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, ზივზივაძე, ბარაბაძე, მგალობლიშვილი, ი. ტყებუჩავა (ჭილლაძე 76), დოლონაძე, ი. ზაბახიძე, ლ. კობახიძე (ზ. ნოზაძე 77), ბ. პეტრიაშვილი (გულიაშვილი 40), მ. მიქაძე, როგავა

*სათადარიგონი:* დოლაძე, ხვედელიძე, ლ. ჩიკვაიძე, მაჭარაშვილი

მწვრთნელი: სოსო ფრუიძე

**ნორჩი დინამო:** აზნიაშვილი, გურაბანიძე, კირვალიძე, ბოკუჩავა, კ. ნაჭყებია, ლაბარტყავა (გ. გრიგალაშვილი 46), ღვთისავრიშვილი, დ. კაკულია (კურტანიძე 46), მეფარიძე (ა. შენგელია 65), მამედოვი, უხურგუნაშვილი

*სათადირგონი:* გაბრიჩიძე, დაბრუნდაშვილი, ბ. მამარდაშვილი, ტოსტიაშვილი

მწვრთნელი: მამუკა სვანაძე

გაფრთხილება: კობახიძე, მეფარიძე, უხურგუნაშვილი, დოლონაძე, ბოკუჩავა, ზაბახიძე, მამედოვი

მსაჯი: ვ. ელისაბედაშვილი

200 მაყურებელი

**კახეთი 2:0 გაგრა 2**

1:0 აბდულაევი (36), 2:0 ბიძინაშვილი (90)

**კახეთი:** ქუფარაშვილი, მ. ხიდეშელი, ტარულაშვილი (შავაძე 56), მურველაშვილი, ხუმარაშვილი, აბდულაევი (გენგაშვილი 86), კობაიძე, მელიქიშვილი, ლ. გიგაური (ბ. მჭედლიშვილი 80), ბიძინაშვილი, ლ. ტეტიაშვილი

*სათადარიგონი:* კობრიაშვილი, ი. ხუციშვილი, ძამუკაშვილი, ახალბედაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

**გაგრა 2:** კოტრიკაძე, სეფიაშვილი, ბ. ტეტუნაშვილი, ქვრივიშვილი, გედენიძე, ლალიანი, ხელაძე, თ. მეტრეველი (ა. ტეტუნაშვილი 67), ხოკერაშვილი, დ. ჩხაიძე (თუხარელი 46), ჭაავა (კილაძე 46)

*სათადარიგონი:* გ. ნაჭყებია, ოქრიაშვილი, სუხიშვილი, კალანდაძე

მწვრთნელი: თემურ ჩხაიძე

გაფრთხილება: აბდულაევი, მეტრეველი, გიგაური, ხუმარაშვილი

მსაჯი: ლ. კვარაცხელია

200 მაყურებელი

**დილა 0:1 ამერი**

0:1 ჩიმაკაძე (77)

**დილა:** კეჩხუაშვილი, შარანგია, დონდოლაძე, გ. ჩიხრაძე, სორდია (გურეშიძე 65), ჩერქეზიშვილი, გ. წინამძღვრიშვილი (სადალაშვილი 53), ცოცხალაშვილი, ბეგლარიშვილი, ფაილოძე, იჩქითი (გ. მეტრეველი 78)

*სათადარიგონი:* დგებუაძე, მაჭავარიანი, ანდღულაძე, ქარდავა

მწვრთნელი: პაატა მეტრეველი

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, თ. სანიკიძე, გ. ჯელაძე (ლაფერაშვილი 65), ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე, ჩიმაკაძე, ლ. ბოჯგუა, ტიკურიშვილი (ნ. ქებაძე 65), ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე, ა. ადეიშვილი, ჯინიკაშვილი, გრძელიძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გაფრთხილება: ჩერქეზიშვილი, ბენდელიანი, ბოჯგუა, ფაილოძე

მსაჯი: ა. კრიჭაშვილი

500 მაყურებელი

**დინამო 2 2:1 თბილისი**

1:0 კოპაძე (513), 1:1 ოდიშარია (62), 2:1 ჭადაშვილი (69)

**დინამო 2:** გ. ნადირაძე, მინდორაშვილი, გეთიაშვილი, კაჭკაჭიშვილი, გ. ოთარაშვილი, მამუჩიშვილი, ნემსაძე, კოპაძე (ცერცვაძე 83), გ. ჩიკვაიძე, ი. სიხარულიძე, ჯიუსი (ჭადაშვილი 57)

*სათადარიგონი:* ვ. კეკელია, ჩადუნელი, ქამუშაძე, ჯოხაძე, ლეკვთაძე

მწვრთნელი: დავით კევლიშვილი

**თბილისი:** ხარშილაძე, სარაჯიშვილი, დ. ამისულაშვილი, ოდიშარია, ხოხონიშვილი, კბილცეცხლაშვილი, გურეშიძე, ზვიადაძე, სებისკვერაძე (ი. დევდარიანი 70), ჯაში (ბელქანია 75), ტორონჯაძე

*სათადარიგონი:* გიორგობიანი, ჭაფოძე, სულუხია, მიქელაძე

მწვრთნელი: გელა გომელაური

გაფრთხილება: ჭადაშვილი, ნემსაძე, ოდიშარია, ზვიადაძე, ამისულაშვილი

მსაჯი: ა. ნონიკაშვილი

100 მაყურებელი

**ჰერეთი 1:2 ვიტ ჯორჯია 2**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| ჩიხურა | 2 | 1 | 1 | 0 | 5:1 | 4 |
| დინამო 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სიონი 2 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| კახეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| თბილისი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| დილა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | 1 |
| ნორჩი დინამო | 2 | 0 | 1 | 1 | 2:6 | 1 |
| ჰერეთი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| გაგრა 2 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

**მესამე ტური**

21 სექტემბერი
ნორჩი დინამო – ჰერეთი
გაგრა 2 – დილა
22 სექტემბერი
ამერი – დინამო 2
სიონი 2 – კახეთი
თბილისი – ჩიხურა

### დასავლეთი

**კოლხეთი 1:0 ჭიათურა**

1:0 წიქარიშვილი (24)

**კოლხეთი:** გ. შენგელია, თურქია, დ. ნარსია, ცხვიტარია, გელაჭეიშვილი, ქომეთიანი, გოგნაძე (ლუსტა 27), ჩხარტიშვილი, გვალია (გვიჩია 85), ბაკარანძე, წიქარიშვილი (აბურჯანია 69)

*სათადარიგონი:* ჩემია, ციკოლია, ქანდაველაძე

მწვრთნელი: ზაზა ინიაშვილი

**ჭიათურა:** ბადურაშვილი, ბრეგვაძე, ბრუსლი, გაფრინდაშვილი, ჯაჯანიძე (ხაჩიძე 64), გ. კევლიშვილი, გ. ილურიძე, კ. ძაგანია (ეგაძე 46), სეფერთელაძე, ზ. ხაჭიპერაძე, სევასტოპულო

*სათადარიგონი:* ნ. ტყემალაძე, გოგბერაშვილი, ცუცქირიძე, ვაშაძე, ზ. დარჯანია

მწვრთნელი: გიგლა იმნაძე

გაფრთხილება: თურქია, ქომეთიანი, ბაკარანძე, სეფერთელაძე, ილურიძე, სევასტოპულო

მსაჯი: ო. ხეცაძე

500 მაყურებელი

**მერანი (მ) 3:0 ზესტაფონი 2**

1:0 ციცხვაია (12), 2:0 ჩალაძე (23), 3:0 ციცხვაია (44)

**მერანი (მ):** ლ. ძაგანია, ჩხიკვაძე, ფარცვანია, ი. ვაშაკიძე, კვიტატიანი, წოწორია, პაპადოპულოსი, დ. გოგოლაძე, კირკიტაძე (ტორაძე 60), ლ. ჩალაძე (ცაგარეიშვილი 63), ციცხვაია (რეხვიაშვილი 46)

*სათადარიგონი:* ზ. ენდელაძე, მუმლაძე, ჩაველაშვილი, ჯ. შეროზია

მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია

**ზესტაფონი 2:** ძაძამია, ხიხაძე, ზ. ლობჟანიძე, შ. ღონღაძე, კამლაძე (სუხიაშვილი 46), ლ. ცხადაძე, ბუკია, სანტოსი, გორგიაშვილი (გაბრიჭიძე 72), ბერიძე (ბერუაშვილი 46), კეჭაყმაძე

*სათადარიგონი:* კვირიკეიშვილი, ლაბაძე, ო. ბოჭორიშვილი, ბერძენაძე

მწვრთნელი: გია ნადირაძე

გაფრთხილება: ლობჟანიძე

მსაჯი: ჯ. ბუიშვილი

200 მაყურებელი

**ტორპედო 2008 0:0 ბაია**

**ტორპედო 2008:** მიგინეიშვილი, ი. დარსაძე, ბიბილაშვილი, ხარებავა, ჭანკვეტაძე (რატიანი 67), კოსტავა (გოდერიძე 59), დანელია (ე. მუშკუდიანი 66), ბესარაშვილი, ბ. ჩხეტიანი, ქობალია, კობერიძე

*სათადარიგონი:* კუჭუხიძე, წიქორიძე

მწვრთნელი: კახა კარანაძე

**ბაია:** ივარდავა, ზ. ექონია, გ. პაჭკორია, ჟვანია, ბოკუჩავა (გუგუჩია 66), კუტალია, წურწუმია (ეხვაია 72), რაფავა, ვართაგავა, გ. ქირია, სვირავა

*სათადარიგონი:* მაქაცარია, ნ. შონია, კ. შონია, დ. პაჭკორია, კაკუშაძე

მწვრთნელი: ჰერბერტ ცანკერი

გაფრთხილება: ვართაგავა, ეხვაია, ბესარაშვილი, გოდერიძე

მსაჯი: მ. ურუშაძე

500 მაყურებელი

**მეშახტე 0:2 სამტრედია**

0:1 ადეიშვილი (76), 0:2 ჩომახიძე (88)

**მეშახტე:** თორთლაძე, ყურაშვილი, მ. ბოჭორიშვილი, ი. გვეტაძე, ჯიშიაშვილი, მაჩალაძე, ლომთაძე (დონაძე 71), გოგუა, გ. გვენეტაძე, გობეჯიშვილი, ავალიშვილი

*სათადარიგონი:* გიორგაძე, წერეთელი, რ. კალანდაძე, ბ. გვეტაძე

მწვრთნელი: დავით გვენეტაძე

**სამტრედია:** ი. შენგელია, გოგია, ნინუა, კვესელია, სამსეიშვილი, ბაკურაძე (მახარაძე 89), ოქრუაშვილი, ა. ადეიშვილი, გ. თურმანიძე, ჩომახიძე (სუნიაევი 89), ბოხუა (ეცადეიშვილი 79)

*სათადარიგონი:* კეკელიძე, ი. შენგელია, გ. დარჯანია, ა. ქუთათელაძე

მწვრთნელი: მამუკა მესიაჩენკო

გაფრთხილება: ნინუა, ეცადეიშვილი

მსაჯი: გ. დოგრაშვილი

300 მაყურებელი

**ბათუმი 1:1 ხობი**

1:0 დემურაძე (43), 1:1 გაგუა (87)

**ბათუმი:** თოთლაძე, რამიშვილი (ქადიძე 65), გოგიტაური, ფარტენაძე, გოგუაძე, გ. გოგიტიძე, ბ. მახარაძე, გორჯელაძე (ტულუში 75), დემურაძე, მალაზონია, კალანდაძე (გალოგრე 55)

*სათადარიგონი:* მჭედლიძე, ზაქარეიშვილი, ჩხიკვიშვილი, თ. კაკალაძე

მწვრთნელი: ამირან გოგიტიძე

**ხობი:** ხარძეიშვილი, მ. შონია (ჩაჩიბაია 46), გ. გოგენია, ო. ფიფია, ჯამბურია, ალანია (ლატარია 70), კ. გოგენია, ლეფსაია, გაგუა, სართანია (გრიგოლია 78), ღლონტი

*სათადარიგონი:* ჭურღულია, ფირცხელავა

მწვრთნელი: ლევან ნოდია

გაფრთხილება: გორჯელაძე, ქადიძე, ღლონტი

გაძევება: ღლონტი (85)

მსაჯი: მ. ბეუქლიშვილი

500 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლხეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ბაია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:0 | 4 |
| ხობი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ჭიათურა | 2 | 1 | 0 | 1 | 5:2 | 3 |
| მერანი (მ) | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| სამტრედია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ბათუმი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ტორპედო 2008 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ზესტაფონი 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| გურია | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |
| მეშახტე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:6 | 0 |

**მესამე ტური**

22 სექტემბერი
ხობი – მერანი
ბაია – ბათუმი
სამტრედია – ტორპედო 2008
ჭიათურა – მეშახტე
გურია – კოლხეთი

## კუშჩაკმა გააახანგრძლივა

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** მეორე გოლკიპერმა ტომაშ კუშჩაკმა კლუბთან კონტრაქტი გააახანგრძლივა და ახალი ხელშეკრულებით, პოლონელი მანკუნიანელთა რიგებში 2012 წლამდე დარჩება.

„კლუბმა და პირადად ალექს ფერგიუსონმა მხარდაჭერა და ნდობა გამომიცხადეს და კონტრაქტის კიდევ ორი წლით გახანგრძლივება შემომთავაზეს“ — აღნიშნა კუშჩაკმა.

## კრაუჩმა დეფო შეაქო

**პრემიერლიგის** „პორტსმუთის“ თავდამსხმელი პიტერ კრაუჩი თავის თანაგუნდელის ჯერმეინ დეფოს თამაშითაა აღფრთოვანებული. პიტერმა ჯერმეინი საჯარიმო მოედნის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელა.

„ეს ფანტასტიკაა. ჯერმეინი ძალიან სწრაფი და ტექნიკურია. როდესაც ის საჯარიმოში ბურთს იღებს, მეტოქეებს ყოველთვის პრობლემა ელით“ — განაცხადა კრაუჩმა.

## ორლანდო ბრუნდება

**გელზენკირხენის** „შალკეს“ ახალწვეულმა ორლანდო ენგელაარმა მუხლის ტრავმა მოირჩინა და შესაძლოა, მოედანზე უკვე ხუთშაბათს, კვიპროსის აპოელ-თან სათამაშოდ გავიდეს. შაბათს 28 წლის ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა „შალკეს“ სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში ითამაშა.

## ნაკამურას ოჯახი მოენატრა

**გლაზგოს** „სელტიკის“ ხელმძღვანელობა თავისი იაპონელი ნახევარმცველის შუნსუკე ნაკამურას კლუბში დატოვებას ცდილობს. ამასწინათ, 30 წლის ფეხბურთელმა სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. იაპონელს თავის ოჯახთან ახლოს ყოფნა სურს.

„ბედნიერები ვიქნებოდით, თუ შუნსუკე „სელტიკში“ იმდენხანს დარჩებოდა, რამდენიც შესაძლებელია, მაგრამ მისმა აგენტმა გვაუწყა, რომ ფეხბურთელს იაპონიაში დაბრუნება უნდა. ჩვენ კი შევეცდებით, ნაკამურა სეზონის ბოლომდე მაინც დავიტოვოთ“ — ბრძანა „კელტების“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ ლოუელმა.

## დონოვანი პოდოლსკის ნაცვლად?

**შესაძლოა,** „ლოს ანჯელეს გელექსის“ თავდამსხმელი ლენდონ დონოვანი ზამთარში მიუნხენის „ბაიერნში“ გადაბარგდეს. ბავარიელები ლუკაშ პოდოლსკის სავარაუდო წასვლის გამო თავდასხმის ხაზის გაძლიერებაზე ზრუნავენ. ადრე ამერიკელი უკვე გამოდიოდა ბუნდესლიგაში — ლევერკუზენის „ბაიერის“ ღირსებას იცავდა.

## ბერი სტემფორდ ბრიჯზე?

**ინგლისის** პრესის ცნობით, ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ბირმინგემის „ასტონ ვილას“ ნახევარმცველი გარეთ ბერი, სავარაუდოდ, ლონდონის „ჩელსიში“ გადავა.

თუ ეს ტრანსფერი შედგა, არ არის გამორიცხული, ბერიმ „არისტოკრატების“ შემადგენლობაში მიკაელ ესიენი შეცვალოს, რომელსაც მუხლის ტრავმის გამო, შესაძლოა, მთელი სეზონი გაუცდეს. ფეხბურთელის ტრანსფერის სავარაუდო ღირებულება 18 მილიონ გირვანქას შეადგენს.

## ტიაგუ გრიფონი გახდა

**სერია A-ს** „ჯენოამ“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ტიაგუ მოტასთან ხელშეკრულება გააფორმა. 26 წლის ფეხბურთელმა ამ ზაფხულს მადრიდის „ატლეტიკოსთან“ კონტრაქტი გაწყვიტა. ადრე მოტა „ბარსელონაშიც“ გამოდიოდა, „გრიფონებთან“ კი 2012 წლამდე დარჩება.

## ველოზუს ინგლისში ექაჩებიან

**ლისაბონის** „სპორტინგის“ ნახევარმცველი მიგელ ველოზუ იანვარში ევებ პრემიერლიგაში გადაბარგდეს. ფეხბურთელით ინგლისური გრანდები — „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „არსენალი“ — არიან დაინტერესებულნი და ვარაუდობენ, რომ პორტუგალიური კლუბი 22 წლის ველოზუს სანაცვლოდ 18 მილიონ გირვანქასაც ჩაიჯიბავს. ამ ზაფხულს პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველს ლონდონის „ტოტენჰემიც“ ეპატიჟებოდა.

## მონაკო მენეზის შემცვლელს ეძებს

**ფრანგული** „მონაკო“ ჟერემი მენეზის „რომაში“ გადასვლის შემდეგ მარცხენა ნახევარმცველის პოზიციაზე მისი შემცვლელის ძიებას განაგრძობს. ერთ-ერთ კანდიდატურად „მონეგასკები“ ბრაზილიელ სეზარს განიხილავენ, რომელსაც ამ ზაფხულს მილანის „ინტერთან“ კონტრაქტის ვადა გაუვიდა.

**არჩილ ძოგახიძე**

ტოტალიზატორი

## 1X2 ამფსონები

სათამაშო სახლში ყურმოკრული სამშაბათობით და შაბათობით

კოდი | წყვილი | შედეგი | კოეფ-ტი | სისტ

— სხეპერია თუ სხეფერი, მაგის ჩამოსვლა გეწერა?

— ეგ კი დავსვი ტო, ლობში მეწერა, მარა მეორე და მესამე ბილეთი წავაგე.

— რაზე?

— მეორე ქვითარში 24 და ნაკლები ქვეყნის წარმომადგენლის ჩამოსვლა დავწერე და 25 და მეტი დაჯდა.

მესამე ქვითარში კიდე აეროპორტში ქარის მიმართულებაზე დავდექი. ჩრდილო-დასავლეთი დავწერე და სამხრეთ-აღმოსავლეთში გამექცა.

— მეორე ბილეთში უეჭველია, რო ვიღაც ზედმეტი იყო თვითმფრინავში და მაგან გატეხა. კარგად დათვალე, ტრაპზე რო ჩამოდიოდნენ?

— ლაივსკორს ვარეფრეშებდი და ბოლოს ოცდახუთზე გაჩერდა.

— ტრაპზე ჩამოსვლისას არ დაგითვლია, ძმაო? იქნებ ის ზედმეტი სტიუარდესა იყო?

— სტიუარდესაზე გამახსენდა, ტო, რონალდინიოზე რას ფიქრობ?

— რასაც ორი კვირის წინ გეუბნებოდი.

— რას მეუბნებოდი?

— ცვეტში ვამბობდი, რო ეგ თავშლიანი ტიპი „ბარსადან“ „მილანში“ ტოტალიზატორმა გადაიყვანა და მანდ ფუტბოლი, იმენა აფსაიტშია.

— არ მახსოვს...

— რა არ გახსოვს, ძმაო! პირველ ტურში „მილანმა“ და „ბარსამ“ წყვილად ხო გატეხეს...

— მერე?

— რა მერე? კომბლეს ზღაპარია? მაშინ გაგიიასნე, რო ესენი, ვსმისლე „ბარსა“ და „მილანი“, წყვილად იყომარებენ და მაგათი კოორდინატორი ის თავშლიანი როჟაა, შენ რო რონალდინიოს ეძახი

— რით ამტკიცებ?

— რა დამტკიცება უნდა, ძმაო! ორი ტურია, ორივე ტეხავს. კუშნახევარი ტვინი თუ მაინც გაქვს, იმენა მიხვდები, ნაჩალიჩარი პონტია.

აბა, სად მოსულა, რო გუნდში რონალდინიო, კაკა და შევჩენკო იყვნენ და „ჯენოასთან“ აგებდეს? ან კიდე, „ბარსელონა“ „რასინგთან“ ნიჩიას თამაშობდეს? ჯერ სადა ხარ, ძმაო, შენ ეგენი ყოველ შაბათ-კვირას წყვილად დაწერე და ჩიტუნებს დაიჭერ...

**ძუში ძოწმარია**

ჩემი ბილეთი:
001 რუსეთი — ნატო
შედეგი: ჩვენ არ ვიქნებით მარტო
სავარაუდო მოგება: ჯიბის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა
მომდევნო ამფსონებში შეიტყობთ, თუ რომელ
გუნდს ბალეშჩიკობდა ბავშვობაში
ედუარდ ჯაბეევიჩ კოკოითი

114140 *

## ჩაიხედეთ ისტორიის წიგნებში




**კრიშტიანუ რონალდუს** გამოჯანმრთელების შესახებ ზღაპრულ ამბებს ყვებიან. რა ითვლებოდა სენსაციად გუშინ? პორტუგალიელი ვარსკვლავის პრემიერლიგის მორიგ ტურში, ანუ მომდევნო უქმეებზე თამაში, დღეს კი ამ უქმეებს ვინღა უცდის — რონალდუ ოთხშაბათს, ჩემპიონთა ლიგაშივე აპირებს მონაწილეობას.

შეგახსენებთ: ჩემპიონთა ლიგის პირველ თამაშს „მანჩესტერ იუნაიტედი“ შინ, „ოლდ ტრეფორდზე“, „ვილიარეალის“ წინააღმდეგ მართავს.

მაგრამ აქ მთავარი საკუთრივ რონალდუს გამოჯანმრთელების გარდა, კიდევ ერთი რამ გახლავთ — ის პირველად წარსდგება მანჩესტერელი ფანების წინაშე მას შემდეგ, რაც მთელი ძალითა და ღონით „რეალში“ გადასვლისთვის იბრძოდა.

ვარსკვლავმა, რომელსაც ზაფხულში კოჭის ოპერაცია გაუკეთეს, განაცხადა:

„საკმარისია, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურა ჩავიცვა, რომ მოედანზე თავს დავდებ. მე ამ კლუბის ისტორიაში უკვე ვარ შესული და საკმარისია, მოედანზე გამოვჩნდე, რომ ფანები ისევ შემიყვარებენ“.

შემდეგ რონალდუს „მანჩესტერ სიტიზე“ ჰკითხეს — მოგეხსენებათ, ქალაქ მანჩესტერის მეორე გუნდი ორი კვირის წინ არაბულმა კომპანიამ იყიდა და მსოფლიოს ლამის ყველა ვარსკვლავის თავისთან გადაყვანას ლამობს. „სიტის“ ახალმა მეპატრონემ სულეიმან ალ ფაჰიმმა ისიც კი განაცხადა, „იუნაიტედისგან“ კრიშტიანუ რონალდუს 135 მილიონ გირვანქად ვიყიდიო.

„საკუთარ თავს სხვა მანჩესტერული გუნდის მაისურით ვერ ვხედავ — მიუგო ჟურნალისტებს რონალდუმ — ვერც კი წარმომიდგენია, რა უნდა გადამიხადონ, ამას რომ დავთანხმდე“.

**ბაბუნა ძედია**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას წარმოგიდგენთ VEGA SLOT

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

## A ჯგუფი

**ჩელსი — ბორდო**

**რომა — კლუჟი**

### კლუჟური სიურპრიზი



**ლუჩანო სპალეტის** „რომა“ ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტსა და მოულოდნელ სტუმარ „კლუჟს“ დაუხვდება და სამი ქულის გარდა, არაფერს რომ არ გეგმავს, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს. თუმცა რუმინული კლუბი კიდევ აპირებს სიურპრიზების შემოთავაზებას. შემადგენლობა ორივე გუნდს საბრძოლო ჰყავს და ვნახოთ, რა მოხდება რომის „სტადიო ოლიმპიკოზე“, რომელიც სეზონის მიწურულს ლიგის ფინალსაც უმასპინძლებს.

„ეს ჩვენთვის დიდი მიღწევაა, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ვართ და „რომას“, „ჩელსისა“ და „ბორდოს“ დონის გუნდებთან მოგვიწევს ჭიდილი. მოტივაცია ნამდვილად არ გვაკლია, გვინდა, მესამე ადგილზე გავიდეთ, რაც უეფას თასზე გადაგვიყვანს“ — თქვა „კლუჟის“ 45 წლის იტალიელმა მწვრთნელმა მაურიციო ტრომბეტამ.

ლუიშ ფელიპე სკოლარის „ჩელსისთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგაში თავგადასავლის დაწყება მოგებით სურს, მაგრამ მეტოქე არცთუ სახუმაროა — ლორან ბლანის „ბორდო“.

ლონდონელების წამყვანი ფორვარდი დიდიე დროგბა დისკვალიფიცირებულია. თუმცა კოტდივუარელის თამაში ამის გარეშეც სათუო იყო, რადგან იგი ბოლომდე მწყობრში ჯერ არ არის. ფრანგებს კი მატიე შალმე და ბენუა ტრემულენა ჰყავთ დისკვალიფიცირებული.

**კოკი კანდელაკი**

## B ჯგუფი

**პანათინაიკოსი — ინტერი**

**ვერდერი — ანორთოსისი**

### თომას შააფი: უფრთხილდით ანორთოსისს!

**ჰენკ ტენ კატე** და მისი „პანათინაიკოსი“ საკუთარ კედლებში ჟოზე მაურინიუს „ინტერთან“ გამკლავებას ეცდებიან. მილანელებს ნამდვილად რთული მატჩი ელით, რადგან საბერძნეთში სტუმრობა ყოველთვის ძნელია, თან ათენელებს მშვენიერი გუნდი ჰყავთ.

კვირას „ინტერის“ ახალწვეულმა რიკარდუ კუარეშმამ თავის სადებიუტო მატჩში გაიტანა მნიშვნელოვანი და თან ლამაზი გოლი, ახლა კი პორტუგალიელი ჩემპიონთა ლიგაშიც აპირებს მილანელებზე შთაბეჭდილების მოხდენას.

„თავს ისე ვგრძნობ, თითქოს უკვე დიდი ხანია, „ინტერში“ ვიყო. დიდი მადლობა ყველას ბრწყინვალე დახვედრისთვის. მიხარია, რომ კარგი დებიუტი გამომივიდა და ვეცდები, ასე გავაგრძელო“ — თქვა 24 წლის კუარეშმამ.

ბრემენში „ვერდერი“ თემურ ქეცბაიას „ანორთოსისის“ წაქცევას ეცდება. მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები უპირობო ფავორიტებად ითვლებიან, მათი მწვრთნელი თომას შააფი მაინც ფრთხილობს.



თემურ ქეცბაია და სოსო ჭედია: კვიპროსელთა ქართველი თავკაცები

„ყველა ის პატარა გუნდი, რომელიც ჯგუფურ ეტაპზე მოხვდა, საკმაოდ ძლიერია. სხვანაირად ისინი აქ ვერ იქნებოდნენ და გზად უფრო სახელოვან მეტოქეებს ვერ დაამარცხებდნენ. ასე რომ, ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, „ანორთოსისთან“ სულაც არ გველის იოლი მატჩი. ჯგუფის ფავორიტი უდავოდ „ინტერია“. ჩვენ და „პანათინაიკოსმა“ მეორე ადგილისთვის უნდა ვიბრძოლოთ. სპეციალისტთა უმეტესობის აზრით, კვიპროსელებს შანსი არ აქვთ, მაგრამ მათ ყველა ფრთხილად უნდა მოეკიდოს“ — განაცხადა შააფმა.

**გიორგი კაკაბაძე**

## C ჯგუფი

**ბაზელი — შახტარი**

**ბარსელონა — სპორტინგი**

### ამუნიკეს რაღა უნდა?

**ექვსწლიანი** განშორების შემდეგ „ბაზელი“ ჩემპიონთა ლიგას დონეცკის „შახტართან“ საშინაო მატჩით უბრუნდება. შვეიცარიულმა კლუბმა 2002-03-ის სეზონში პირველი ჯგუფური ეტაპი გადალახა და მაშინ პირველ ტურში მოსკოვის „სპარტაკს“ 2:0 მოუგო.

„ბაზელმა“ ევროთასებზე ბოლო 16 საშინაო მატჩიდან მხოლოდ ერთი წააგო.

თავის მხრივ „შახტარი“ მეხუთედ ითამაშებს ჩემპიონთა ლიგაში და ჯგუფიდან გასვლას შეეცდება, რაც აქამდე ვერ მოუხერხებია. შარშან „შახტარმა“ ტურნირი ორი მოგებით დაიწყო, თუმც მომდევნო ოთხ მატჩში დამარცხდა.

„შახტარი“ და „ბაზელი“ ერთმანეთს ინტერტოტოზე 1996 წელს შვეიცარიაში შეხვდნენ და 2:2 ითამაშეს.

ჯგუფის მეორე მატჩი „კამპ ნოუზე“ გაიმართება და ხოსეპ გვარდიოლას კიდევ ერთი გამოცდა „სპორტინგთან“ ელის. „ბარსელონამ“ პრიმერაში „ნუმანსიასთან“ სტუმრად წააგო და „რასინგს“ შინ დაუზავდა. ასეთი ცუდი დასაწყისის შემდეგ, „სპორტინგთან“ მატჩს გვარდიოლასთვის ძალიან დიდი დატვირთვა ექნება.

ლისაბონური კლუბის მწვრთნელი პაულუ ბენტუ ამბობს, რომ მეტოქის სულაც არ ეშინია. „ბარსელონა“ პატივცემული გუნდია უმაღლესი კლასის ფეხბურთელებით და ფავორიტიცაა, მაგრამ ჩვენ მოსაგებად ვითამაშებთ, ისევე, როგორც ჯგუფის ყველა დანარჩენ მატჩში — განაცხადა ბენტუმ — ძალიან გვინდა, რომ ამ სეზონში მაინც მოვახერხოთ მერვედფინალში გასვლა“.

„სპორტინგი“ და „ბარსელონა“ ერთმანეთს 1986-87 წლის სეზონში უეფას თასზე შეხვდნენ და სტუმრად გატანილი გოლის წყალობით კატალონიელებმა იმარჯვეს.

ყოფილი ფეხბურთელის, ნიგერიელი ემანუელ ამუნიკეს აზრით, „სპორტინგს“ ბარსელონაში გამარჯვების შანსი აქვს და დაცვაში არ უნდა ჩაჯდეს. „ძალიან კი მეწყინა, ორივე ერთ ჯგუფში რომ მოხვდა, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ კარგ ფეხბურთს ვნახავ და თამაში ფრედ დასრულდება“ — განაცხადა ნიგერიელმა, ვისაც თავის დროზე „ბარსელონაშიც“ უთამაშია და „სპორტინგშიც“.

**ვაჟა ხუციშვილი**

## D ჯგუფი

**პსვ — ატლეტიკო**

**მარსელი — ლივერპული**



ხავიერ აგირე

### ორი ასამდე

**მადრიდის** „ატლეტიკოსთვის“ პსვ-სთან მატჩი ჩემპიონთა ლიგაში ბოლო 11 წელიწადში პირველი იქნება.

„ატლეტიკო“ ლიგიდან 1997 წლის შემდეგ გაქრა, მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში „აიაქსთან“ დამარცხდა.

პსვ მთავარ ევროთასზე ზედიზედ მეთორმეტედ ითამაშებს და შეეცდება, რომ შარშანდელივით ჯგუფში აღარ ჩარჩეს.

„ატლეტიკომ“ ლიგაში მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე „შალკეს“ დამარცხებით გააღწია, პსვ კი ჰოლანდიის ჩემპიონია. ეს გუნდები ერთმანეთს აქამდე არასოდეს შეხვედრიან.

პსვ ესპანურ კლუბებს ათჯერ გადაეყარა, ოთხჯერ მოუგო, ერთხელ წააგო და დარჩენი ფრედ დაასრულა.

„ატლეტიკო“ ჰოლანდიურ კლუბებთან ორმატჩიან შეხვედრებში ოთხიდან ოთხჯერ დამარცხდა.

„ჩემს გუნდს, შინ თუ სტუმრად, ნებისმიერ მეტოქესთან ტოლსწორად თამაში შეუძლია — განაცხადა „ატლეტიკოს“ მწვრთნელმა ხავიერ აგირემ — ჯგუფში ფავორიტი „ლივერპულია“, დანარჩენებს კი მეორე ადგილის დაკავების თანაბარი შანსი გვაქვს“.

„ატლეტიკოს“ დისკვალიფიცირებული მაქსი როდრიგესი და მარიანო პერნია დააკლდებიან.

„ლივერპული“ მარსელში ჩემპიონთა ლიგის 67-ე მატჩს ითამაშებს და ორ გოლს თუ გაიტანს, სალიგო გოლების რაოდენობას 100-მდე დაამრგვალებს.

წინა სეზონშიც „ლივერპული“ და „მარსელი“ ერთ ჯგუფში იყვნენ. „ენფილდზე“ სტუმრებმა 1:0 მოიგეს, „ველოდრომზე“ კი ინგლისელებმა 4:0 იმარჯვეს.

აღსანიშნავია, რომ „ლივერპულის“ საფრანგეთში ბოლო სამი სტუმრობა სამჯერვე მოგებით და გოლგაუშვებლად დასრულდა.

გასულ შაბათს „მარსელი“ შინ „ბორდოს“ 1:1 დაუზავდა, ხოლო რაფაელ ბენიტესის გუნდმა პრემიერლიგაში „მანჩესტერი“ 2:1 დაამარცხა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2008-2009. ჯგუფური ეტაპი. I ტური. დღეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

**ჩელსი** ინგლისი
**რომა** იტალია
**ბორდო** საფრანგეთი
**კლუჟი** რუმინეთი

I ტური. 16.09.08
ჩელსი – ბორდო
რომა – კლუჟი
II ტური. 01.10.08
კლუჟი – ჩელსი
ბორდო – რომა
III ტური. 22.10.08
ბორდო – კლუჟი
ჩელსი – რომა

IV ტური. 04.11.08
კლუჟი – ბორდო
რომა – ჩელსი
V ტური. 26.11.08
ბორდო – ჩელსი
კლუჟი – რომა
VI ტური. 09.12.08
ჩელსი – კლუჟი
რომა – ბორდო

### ჩელსი (ინგლისი)

**მეკარეები**
1 — პეტრ ჩეხი
23 — კარლო კუდიჩინი
40 — ილარიო

**მცველები**
2 — ბრანისლავ ივანოვიჩი
3 — ეშლი კოული
6 — რიკარდუ კარვალიუ
17 — ბოსინგვა
18 — უეინ ბრიჯი
19 — პაულუ ფერეირა
26 — ჯონ ტერი
33 — ალექსი
35 — ჟულიანუ ბელეტი

**ნახევარმცველები**
5 — მიკაელ ესიენი
8 — ფრენკ ლამპარდი
10 — ჯო კოული
13 — მიხაელ ბალაკი
15 — ფლორან მალუდა
20 — დეკუ

**თავდამსხმელები**
9 — ფრანკო დი სანტო
11 — დიდიე დროგბა
21 — სალომონ კალუ
39 — ნიკოლა ანელკა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

### რომა (იტალია)

**მეკარეები**
12 — პიეტრო პიპოლო
25 — არტური
27 — ჟულიუ სერჟიუ
32 — დონი

**მცველები**
2 — კრისტიან პანუჩი
3 — სისინიუ
4 — ჟუანი
5 — ფილიპ მექსესი
15 — სიმონე ლორია
17 — იონ არნე რიისე
22 — მაქს ტონეტო
77 — მარკო კასეტი

| 15021 | ჩერნო მორე-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | ჰაპოელ თ ა-სენტეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | სლავენი-ცსკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ბანიკი-სპარტაკი მ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15025 | ვოლფსბურგი-რაპიდი ბუქ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15026 | ომონია-სიტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15027 | ფეიენოორდი-კალმარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15029 | ნანსი-მოთერველი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15030 | ბრანი-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15031 | პორტსმუთი-გიმარაეში | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15032 | სლავია-ვასლუი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15033 | ქალინა-ლეგია ხოვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15034 | აუსტრია-ლეხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15035 | ბეშიქთაში-მეტალისტი ხარ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15036 | ნაციონალი-დინამო ბუქ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15037 | ტიმიშოარა-პარტიზანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15038 | კაისერი-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15041 | მოსკოვი-კოპენჰაგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15042 | სამპდორია-კაუნასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15043 | დორტმუნდი-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15044 | მარიტიმუ-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15045 | ბრაგა-პეტრჟალკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | იანგ ბოისი-ბრიუგე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15047 | დინამო ზ-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15049 | ბელინცონა-გალატასარაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ბრონდბი-როზენბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | ბორაცი-აიაქსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | რენი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | ნაპოლი-ბენფიკა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | ევერტონი-სტანდარდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | სეტუბალი-ჰერენვენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

# ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | რომა-კლუჟი | 1.05 | 5.70 |
| 16002 | ჩელსი-ბორდო | 1.08 | 5.00 |
| 16003 | პანათინაიკოსი-ინტერი | 2.45 | 1.40 |
| 16004 | ვერდერი-ანორთოსისი | 1.05 | 5.70 |
| 16005 | ბაზელი-შახტარი | 1.75 | 1.85 |
| 16006 | ბარსელონა-სპორტინგი | 1.10 | 5.50 |
| 16007 | პსვ-ატლეტიკო | 1.82 | 1.82 |
| 16008 | მარსელი-ლივერპული | 2.10 | 1.60 |
| 16017 | აპოელი-შალკე | 2.90 | 1.32 |
| 16018 | ნორდსიელანდი-ოლიმპიაკოსი | 2.90 | 1.32 |
| 16335 | ბარნსლი-კარდიფი | 1.82 | 1.82 |
| 16336 | ბრისტოლი-ბირმინგემი | 1.80 | 1.80 |
| 16337 | ბარნლი-ბლეკპული | 1.45 | 2.45 |
| 16338 | დონკასტერი-ჩარლტონი | 1.65 | 2.05 |
| 16339 | პრესტონი-ნოტინგემი | 1.30 | 3.00 |
| 16340 | შეფილდი-ქოვენტრი | 1.30 | 3.00 |
| 16341 | სუონსი-დერბი | 1.55 | 2.20 |
| 16342 | უოტფორდი-პლიმუთი | 1.30 | 3.00 |
| 16343 | ვულვერჰემპტონი-კრისტალ პალასი | 1.25 | 3.40 |
| 16344 | რედინგი-უესხდი | 1.25 | 3.40 |
| 16345 | ნორვიჩი-ქპრ | 1.75 | 1.85 |
| 16346 | საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 1.80 | 1.85 |
| 16009 | დინამო კ-არსენალი | 2.90 | 1.32 |
| 16010 | იუვენტუსი-ზენიტი | 1.25 | 3.40 |
| 16012 | მანჩესტერი-ვილარეალი | 1.14 | 4.70 |
| 16013 | სელტიკი-ოლბორგი | 1.14 | 4.70 |
| 16014 | სტიაუა-ბაიერნი | 2.90 | 1.32 |
| 16015 | ლიონი-ფიორენტინა | 1.38 | 2.65 |
| 16016 | პორტუ-ფენერბაჩე | 1.30 | 3.00 |
| 16020 | ლიტექსი-ასტონ ვილა | 2.45 | 1.40 |
| 16021 | ჩერნო მორე-შტუტგარტი | 3.00 | 1.30 |
| 16022 | ჰაპოელ თ ა-სენტეტიენი | 1.70 | 1.95 |
| 16023 | სლავენი-ცსკა | 2.30 | 1.50 |
| 16024 | ბანიკი-სპარტაკი მ | 2.05 | 1.65 |
| 16025 | ვოლფსბურგი-რაპიდი ბუქ | 1.17 | 4.10 |
| 16026 | ომონია-სიტი | 2.90 | 1.32 |
| 16027 | ფეიენოორდი-კალმარი | 1.11 | 5.70 |
| 16028 | ჰამბურგი-უნირეა | 1.05 | 5.70 |
| 16030 | ბრანი-დეპორტივო | 2.40 | 1.45 |
| 16031 | პორტსმუთი-გიმარაეში | 1.17 | 4.10 |
| 16032 | სლავია-ვასლუი | 1.24 | 3.60 |
| 16033 | ქალინა-ლეგია ხოვ | 1.38 | 2.65 |
| 16034 | აუსტრია-ლეხი | 1.30 | 3.00 |
| 16035 | ბეშიქთაში-მეტალისტი ხარ | 1.12 | 4.60 |
| 16036 | ნაციონალი-დინამო ბუქ | 1.40 | 2.55 |
| 16037 | ტიმიშოარა-პარტიზანი | 1.75 | 1.85 |
| 16038 | კაისერი-პსჟ | 1.70 | 1.95 |
| 16039 | რასინგი-ჰონკა | 1.02 | 6.70 |
| 16040 | სევილია-ზალცბურგი | 1.05 | 5.70 |
| 16041 | მოსკოვი-კოპენჰაგენი | 1.50 | 2.30 |
| 16042 | სამპდორია-კაუნასი | 1.08 | 5.00 |
| 16043 | დორტმუნდი-უდინეზე | 1.45 | 2.45 |
| 16044 | მარიტიმუ-ვალენსია | 2.40 | 1.45 |
| 16045 | ბრაგა-პეტრჟალკა | 1.17 | 4.10 |
| 16046 | იანგ ბოისი-ბრიუგე | 1.52 | 2.20 |
| 16047 | დინამო ზ-სპარტა | 1.50 | 2.30 |
| 16049 | ბელინცონა-გალატასარაი | 2.45 | 1.40 |
| 16051 | ბრონდბი-როზენბორგი | 1.50 | 2.30 |
| 16052 | ბორაცი-აიაქსი | 2.90 | 1.32 |
| 16053 | რენი-ტვენტე | 1.22 | 3.40 |
| 16054 | ნაპოლი-ბენფიკა | 1.52 | 2.20 |
| 16055 | ტოტენჰემი-ვისლა | 1.10 | 5.50 |
| 16056 | ევერტონი-სტანდარდი | 1.23 | 3.60 |
| 16050 | სეტუბალი-ჰერენვენი | 1.50 | 2.30 |

# რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის **0-0** დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | რომა-კლუჟი | 1.08 | 2.90 |
| 14002 | ჩელსი-ბორდო | 1.20 | 2.60 |
| 14003 | პანათინაიკოსი-ინტერი | 2.10 | 1.75 |
| 14004 | ვერდერი-ანორთოსისი | 1.08 | 2.90 |
| 14005 | ბაზელი-შახტარი | 1.85 | 1.95 |
| 14006 | ბარსელონა-სპორტინგი | 1.20 | 2.60 |
| 14007 | პსვ-ატლეტიკო | 1.90 | 1.90 |
| 14008 | მარსელი-ლივერპული | 1.95 | 1.85 |
| 14017 | აპოელი-შალკე | 2.30 | 1.65 |
| 14018 | ნორდსიელანდი-ოლიმპიაკოსი | 2.30 | 1.65 |
| 14335 | ბარნსლი-კარდიფი | 1.90 | 1.90 |
| 14336 | ბრისტოლი-ბირმინგემი | 1.90 | 1.90 |
| 14337 | ბარნლი-ბლეკპული | 1.75 | 2.10 |
| 14338 | დონკასტერი-ჩარლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14339 | პრესტონი-ნოტინგემი | 1.65 | 2.30 |
| 14340 | შეფილდი-ქოვენტრი | 1.65 | 2.30 |
| 14341 | სუონსი-დერბი | 1.80 | 2.00 |
| 14342 | უოტფორდი-პლიმუთი | 1.65 | 2.30 |
| 14343 | ვულვერჰემპტონი-კრისტალ პალასი | 1.45 | 2.40 |
| 14344 | რედინგი-უესხდი | 1.45 | 2.40 |
| 14345 | ნორვიჩი-ქპრ | 1.85 | 1.95 |
| 14346 | საუთჰემპტონი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 14009 | დინამო კ-არსენალი | 2.20 | 1.70 |
| 14010 | იუვენტუსი-ზენიტი | 1.45 | 2.40 |
| 14012 | მანჩესტერი-ვილარეალი | 1.30 | 2.50 |
| 14013 | სელტიკი-ოლბორგი | 1.30 | 2.50 |
| 14014 | სტიაუა-ბაიერნი | 2.20 | 1.70 |
| 14015 | ლიონი-ფიორენტინა | 1.70 | 2.20 |
| 14016 | პორტუ-ფენერბაჩე | 1.65 | 2.30 |
| 14020 | ლიტექსი-ასტონ ვილა | 2.20 | 1.70 |
| 14021 | ჩერნო მორე-შტუტგარტი | 2.40 | 1.45 |
| 14022 | ჰაპოელ თ ა-სენტეტიენი | 1.85 | 1.95 |
| 14023 | სლავენი-ცსკა | 2.10 | 1.75 |
| 14024 | ბანიკი-სპარტაკი მ | 2.00 | 1.80 |
| 14025 | ვოლფსბურგი-რაპიდი ბუქ | 1.30 | 2.50 |
| 14026 | ომონია-სიტი | 2.30 | 1.65 |
| 14027 | ფეიენოორდი-კალმარი | 1.20 | 2.60 |
| 14029 | ნანსი-მოთერველი | 1.20 | 2.60 |
| 14030 | ბრანი-დეპორტივო | 2.20 | 1.70 |
| 14031 | პორტსმუთი-გიმარაეში | 1.30 | 2.50 |
| 14032 | სლავია-ვასლუი | 1.45 | 2.40 |
| 14033 | ქალინა-ლეგია ხოვ | 1.70 | 2.20 |
| 14034 | აუსტრია-ლეხი | 1.65 | 2.30 |
| 14035 | ბეშიქთაში-მეტალისტი ხარ | 1.20 | 2.60 |
| 14036 | ნაციონალი-დინამო ბუქ | 1.70 | 2.20 |
| 14037 | ტიმიშოარა-პარტიზანი | 1.85 | 1.95 |
| 14038 | კაისერი-პსჟ | 1.85 | 1.95 |
| 14041 | მოსკოვი-კოპენჰაგენი | 1.75 | 2.10 |
| 14042 | სამპდორია-კაუნასი | 1.08 | 2.90 |
| 14043 | დორტმუნდი-უდინეზე | 1.75 | 2.10 |
| 14044 | მარიტიმუ-ვალენსია | 2.20 | 1.70 |
| 14045 | ბრაგა-პეტრჟალკა | 1.30 | 2.50 |
| 14046 | იანგ ბოისი-ბრიუგე | 1.75 | 2.10 |
| 14047 | დინამო ზ-სპარტა | 1.75 | 2.10 |
| 14049 | ბელინცონა-გალატასარაი | 2.20 | 1.70 |
| 14051 | ბრონდბი-როზენბორგი | 1.75 | 2.10 |
| 14052 | ბორაცი-აიაქსი | 2.30 | 1.65 |
| 14053 | რენი-ტვენტე | 1.30 | 2.50 |
| 14054 | ნაპოლი-ბენფიკა | 1.75 | 2.10 |
| 14056 | ევერტონი-სტანდარდი | 1.45 | 2.40 |
| 14050 | სეტუბალი-ჰერენვენი | 1.75 | 2.10 |



# შოთა თევზაძეს იმედი გაუცრუვდა
## საკლუბო სტიმული ნაკრებმა დაამუხრუჭა

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მეკარე შოთა თევზაძემ ზაფხულში რუმინულ „ბაკაუს“ გააფორმა კონტრაქტი და განახლებულ ჩემპიონატში რუმინულ პირველობაზე ძალებიც მოსინჯა. მისმა გუნდმა ორი თამაშიდან ერთი მოიგო და, რაც მთავარია, შოთა კარს დამაჯერებლად იცავდა. „ბაკაუ“ საკმაოდ ძლიერ რუმინულ ჩემპიონატში ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არაა, წინა სეზონში მეოთხე ადგილი დაიკავა და წლეულს „ჩელენჯკაფზეც“ ითამაშებს. გუშინ შოთა თევზაძეს რომ დავურეკეთ, ჯერ იმით დავინტერესდით გუნდმა მოსამზადებელი სეზონი როგორ გაიარა...

— ჩემპიონატის დაწყებამდე სამი შეკრება გავიარეთ. პირველი ქალაქ ბაკაუში, სადაც ვთამაშობთ კიდეც. მოსამზადებელ ეტაპს თან ამხანაგური თამაშები ერთვოდა. დღე არ გავიდოდა, თამაში არ ჩაგვეტარებინა. ამის მერე ბულგარეთში წავედით და ვარნაში გავიარეთ შეკრება. ბოლოს კი რუმინულ კონსტანცაში, ვითამაშეთ ამხანაგური ტურნირი. ჩემი მომზადებით კმაყოფილი ვარ. ვარჯიშებზე მაქსიმალურად ვიხარჯებოდი და ჩემპიონატს კარგ ფორმაში შევხვდი, თუმც ნელ-ნელა კიდევ უნდა მოვუმატო.

— როგორც ვიცით, ძირითადი შემადგენლობის მეკარე ხარ. კონკურენტები ვინ არიან?

— ერთი 36 წლის გამოცდილი რუმინელია, ვინც ნაკრებშიც თამაშობდა და მეორე ახალგაზრდა ბიჭი. ორივე კარგი მეკარეა, მაგრამ მწვრთნელმა არჩევანი ჩემზე გააკეთა. ოღონდ ბევრი უნდა ვიშრომო, ძირითადში ადგილი რომ შევინარჩუნო.

— „ბაკაუმ“ კიდევ ვინ დაიმატა?

— სამი სერბი მოიყვანეს. ვარსკვლავები ნამდვილად არ არიან, მაგრამ კარგი ბიჭები არიან და გაგვაძლიერებენ. ეგ არის, მომზადების დროს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დაგვემტვრა და ეს გვიშლის ხელს...

— ამ სეზონში რა იქნება „ბაკაუს“ მიზანი, როგორი გეგმები გაქვთ?

— მინიმუმ სამეულში უნდა შევიდეთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდება. რუმინეთის ჩემპიონატი საგრძნობლად ძლიერია და მართლა არ ველოდი ამდენს. ბოლოს შვედეთში ვთამაშობდი. იქ ძირითადად ახალგაზრდები თამაშობენ, აქ კი გამოცდილი ხელბურთელები ბევრია და თან ფულიც აქვთ იმისთვის, რომ ლეგიონერები დაიმატონ. რუმინეთის ნაკრების მოთამაშეები სამშობლოში მასიურად ბრუნდებიან და აქ თამაშობენ. მოკლედ, შვედეთის ჩემპიონატს არაფრით ჩამოუვარდება რუმინული.

— ჩემპიონატი უკვე ორი ტური ითამაშეთ, ამაზე რას გვეტყვი?

— პირველი თამაში „რეშიცას“ მოუგეთ 31:30. ძალიან დაძაბული თამაში იყო. ეგ გუნდი ორი წელია, „ჩელენჯ-კაპს“ იგებს და ახლაც ბევრი მოთამაშით გაძლიერდა. ბრძოლაში მოვიგეთ. ვითამაშე, მაგრამ ხან მასვენებდნენ, სამაგიეროდ, „დინამოსთან“ სრულად ვიდექი კარში. აქ პირიქით, ჩვენ წავაგეთ ერთი ბურთით 33:34. ასე რომ, სერიოზული ბრძოლა მოგვიწევს, დასახული გეგმა რომ შევასრულოთ. სამეულში შესვლა რთული იქნება. ისე კი ძალიან მეგობრული გუნდი გვყავს. მწვრთნელი ახალგაზრდა კაცია. შარშან მოთამაშე მწვრთნელი იყო და ახლა მარტო გვწვრთნის. ისეთი გარემოა შექმნილი, რომ ვარჯიშისა და თამაშის მეტზე ვერაფერზე იფიქრებ. ეს დიდი სტიმული და დამატებითი კოზირია.

— ევროთასებზეც გამოდიხართ. აქცენტს ჩემპიონატზე გააკეთებთ, თუ ევროსარბიელზეც სერიოზულად ფიქრობთ?

— გვინდა, რომ ევროთასებზეც წინ წავიდეთ. წინა ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავედით და „ჩელენჯ-კაპზე“ გამოვალთ. იმის გამო, რომ რუმინეთს მაღალი რეიტინგი აქვს, ჩვენ მეორე ეტაპიდან დავიწყებთ თამაშს. ოთხი ქვეყნის გუნდები ითამაშებენ ერთმანეთში და იქ მეორე ადგილზე გასული შეგვხვდება. თამაში ოქტომბერში მოგვიწევს.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ. საქართველოში შექმნილ საომარ მდგომარეობას ფინანსური კრიზისი დაემატა და ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევს ველარ ითამაშებს.

— ძალიან დამწყდა გული. საქართველოში ეს ამბები რომ დაიწყო. კი მქონდა ეჭვი, რომ შეიძლება რაღაც მსგავსი მომხდარიყო, მაგრამ მაინც იმედიანად ვიყავი, იქნებ რამდენიმე თამაში ნეიტრალურზე ვითამაშოთ და როცა დალაგდება სიტუაცია, მერე თბილისს დავუბრუნდებით-მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე დავრჩით.

ისედაც სავალალო მდგომარეობაში იყო ქართული ხელბურთი და ახლა სულ ფსკერზე დაეშვება. ორი წელი ვერ ითამაშებს ნაკრები. ეს კატასტროფის ტოლფასია. ძალიან ცუდია, რომ მინიმუმ ორი წლით დიდი ხელბურთისგან შორს ვიქნებით.

**ლევან მაისურაძე**



# შავი ზღვა აბობოქრდა

**გასულ** კვირას სუმოში სექტემბრის ბაშო დაიწყო და გუშინ უკვე მეორე ტურის შერკინებებიც მიილია. ქართველმა გოლიათმა ლევან ცაგურიამ, რომელიც ელიტარულ დივიზიონში კოკაის სახელით ჭიდაობს, ტურნირი შესაშურად დაიწყო. „შავმა ზღვამ“ ორივე შეხვედრაში გაიმარჯვა.

უარყოფითი ბალანსის დაგროვების გამო წინა ბაშოს შემდეგ კოკაი მე-15 მაეგაშირობიდან მე-16 მაეგაშირობამდე ჩამოაქვეითეს. შემოდგომის ტურნირზე ცაგურია აღმოსავლეთის მე-16 მაეგაშირას სტატუსით იბრძვის. მან შეჯიბრების პირველ დღეს დასავლეთის მე-15 მაეგაშირა წააქცია ხატაკიკომით. კოკაი მეორე შეხვედრაში ძურიოს დივიზიონელ ბუსუიამას დაუპირისპირდა და მასაც ხატაკიკომი აწვნია. ჩვენებური მომდევნო ორთაბრძოლას დასავლეთის მე-14 მაეგაშირა კიმურაიამასთან ატარებს.

მაკუჩი დივიზიონში მოფალავნე კიდევ ერთი ქართველი, ტოჩინოშინად წოდებული ლევან გორგაძე, ორი შერკინების ჯამში ერთი გამარჯვების მფლობელია.

აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირას სტატუსის მქონე ტოჩინოშინმა პირველი ჯახი ხიკიოტოსით წააგო დასავლეთის მე-9 მაეგაშირა ბაკანოსატოსთან. ორშაბათს კი გორგაძე აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა იორიკაძეს დაეჭიდა და ცურიდასით მოიგო. ტოჩინოშინი მომდევნო ბრძოლას აღმოსავლეთის მე-11 მაეგაშირა ტაკამისაკარისთან გამართავს.

დოჰიოს მძიმე ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ჩემპიონთ ჩემპიონი იოკოძუნა ასასიორიუ. ასასიორიუმ ჯერ ხიკიოტოსით დასცა აღმოსავლეთის კომუსუბი ბალტი, ხოლო შემდეგ ექსსეკივაკე და ამჟამად აღმოსავლეთის პირველი მაეგაშირა კოტოსეგიკუ ცუკუინაგეთი გამოიყვანა მწობრიდან.

მეორე იოკოძუნა ხაკუხოც ასასორიუს მსგავსად დაუმარცხებლად ასპარეზობს. ხაკუხომ პირველი შერკინება იორიკირით მოუგო კომუსუბი ასასეკირიუს. მეორე შეხვედრაში კი ყოფილი ოძეკი მიაბიამა ოკურიდასით დაამარცხა.

**ზურაბ მიგრიაული**



კოკაიმ ბუსუიამა გააგორა

2008 წლის 15 ოქტომბერს, 12 საათზე, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში ტარდება საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

დელეგატთა რეგისტრაცია დაიწყება დილის 11 საათზე.

პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებების მიღების ბოლო ვადაა 2008 წლის 10 ოქტომბერი.

# კოკოშკოვმა საქართველო ხელში დაიჭირა

## სლოვაკეთმა ჩვენს დაცვას შორიდან უტყორცნა



ბესიკ ლიპარტელიანი



ლაშა ძიძავა

გურამ მუჯირიშვილის ფოტოები

**ჯერ კიდევ** პარასკევს შევთანხმდით კალათბურთის ფედერაციაში პრესკონფერენციაზე მისულები, რომ როდესაც ფედერაციის პრეზიდენტი ბესიკ ლიპარტელიანი და ვიცე-პრეზიდენტი ლაშა ძიძავა სლოვაკეთიდან თბილისში დაბრუნდებოდნენ, ისევ შევიკრიბებოდით და სლოვაკეთის ნაკრებთან ჩვენი ეროვნული გუნდის თამაშს განვიხილავდით.

ასეც მოხდა. ფედერაციის ხელმძღვანელები თბილისში გუშინწინ დაბრუნდნენ, გუშინ კი უკვე კალათბურთის ფედერციაში შევიკრიბეთ და პრესკონფერენციაც გაიმართა.

*ბესიკ ლიპარტელიანი:* პირველ რიგში უნდა გითხრათ, რომ ნაკრებმა სრულად გაიაზრა ამ შეხვედრის მნიშვნელობა. ეს იყო მატჩი, რომელსაც ძალიან ბევრი რამ უნდა გადაეწყვიტა. თუ ჩვენ ამ თამაშს მოვიგებდით, კარგ განაცხადს გავაკეთებდით შვედეთთან თამაშის წინ. წაგების შემთხვევაში კი საგრძნობლად გავირთულებდით საქმეებს.

აეროპორტში ჩვენს მოთამაშეებს უკვე ეტყობოდათ საბრძოლო განწყობა, ამის შემდეგ კი მოტივაცია, სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. კულმინაცია იყო ავტობუსში და გახურებისას, როდესაც ბიჭები ერთმანეთს ამხნევებდნენ და სათამაშოდ განწყობას იქმნიდნენ.

ის პირველი მეოთხედი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა სლოვაკეთში ჩაატარა, დაცვაში თამაშის თვალსაზრისით საუკეთესო იყო ჩვენი გუნდის ისტორიაში. მეტოქემ ვერაფერი ვერ მოიფიქრა ისეთი, რითაც პრობლემას შეგვიქმნიდა და ნელ-ნელა ფარ-ხმალი დაყარა. ქართველებმა კი მოუმატეს და მოუმატეს. საბოლოო შედეგი ყველაფერზე მეტყველებს.

გუნდში საოცარი განწყობაა, ნაკრებში არნახული ერთსულოვნებაა, რაშიც ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვს დიდი წვლილი მიუძღვის. მან ბიჭებთან ურთიერთობა ააწყო. როდესაც კალათბურთელებს შეკითხვა უჩნდებათ, ისინი უმალვე იღებენ პასუხს.

ახლა უმთავრესი ბრძოლა შვედეთში გველოდება. ამ თამაშმა ბევრ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. კარგია, რომ საქართველომ სამი თამაში მოიგო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ წინ კიდევ ხუთი შეხვედრა გველოდება. ახლა უმეოში ბევრ შეკითხვას გაეცემა პასუხი.

წინა წლებში კალათბურთელებმა კარგი გაკვეთილი მიიღეს. ოთხი წლის მანძილზე გვეგონა, რომ A დივიზიონში უნდა გვეთამაშა, თუმცა B დივიზიონის გუნდებმა დაგვჩაგრეს და გვაჯობეს. ახლა ბიჭები გაიზარდნენ. ბევრ რამეზე შეხედულება შეეცვალათ და ძალიან კარგად ხვდებიან, რა მოეთხოვებათ.

ამას დაემატა დღესდღეობით საქართველოში შექმნილი მდგომარეობა, აგვისტოში განვითარებული მოვლენები და ბიჭები თვლიან, რომ ხალხს მოგებით უნდა მიანიჭონ პატარა სიხარული მაინც.

წლევანდელ შეხვედრებში და ნაკრების თამაშში ბევრი რამე იმიტომაც შეიცვალა, რომ ბოლო წლების მანძილზე პირველად მოხდა გუნდის სრული შემადგენლობით შეკრება. მოსამზადებელი ეტაპი გუნდმა ერთად გაიარა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომაც აეწყო ნაკრების თამაში.

ერთიც არის, წინა წლებში კალათბურთელების დიდი ნაწილი კი იყო ნაკრებში, მაგრამ საერთო ჯამში მოედანზე ბევრი მათგანი საერთოდ არ შედიოდა. ახლა კოკოშკოვმა შეძლო სათამაშო დროის გადანაწილება და თამაშიც გამოსდით ბიჭებს.

*ლაშა ძიძავა:* ზედიზედ სამი გამარჯვებით დამატებითი ფსიქოლოგიური მუხტი მიიღეს ბიჭებმა. მათ ამ მხრივ აქვთ ყველაზე დიდი პრობლემები, რადგან გადაიღალნენ. გამუდმებული ფრენებით და თან უკვე თვეზე მეტია, რაც საქართველოდან წასულები არიან.

კოკოშკოვი ახერხებს იმას, რომ გუნდი მოედანზეც და მის მიღმაც ხელში ეჭიროს, წარმართოს მათი ხასიათის ის თვისებები, რომელიც გუნდისთვისაა საჭირო. რაც მთავარია, ყველას კარგი ხასიათი აქვს შენარჩუნებული.

ბევრი რამე განაპირობა იმან, როგორც ბესომ თქვა, გუნდი ამდენი ხანია ერთადაა და თავიდანვე გაიარეს მოსამზადებელი პერიოდი. ყველაფერი წინასწარ შედგენილი გეგმის მიხედვით მიდის შეკრების პირველი დღიდან თამაშამდე.

**გიორგი არაბული**



## სამი ერი 2008

**ავსტრალია 24:28 ახ. ზელანდია**

ავსტრალია: ეშლი-კუპერი, ჰაინესი, მორტლოკი, ტუქირი, ჟიტო, ქორდინგლი, პალუ, სმიტი, ელსომი, შარპი, ჰორვილი, ბაქსტერი, მური, რობინსონი
*სათადარიგოები:* ფრეიერი, დანინგი, მაკმეინიმანი, ვოო, ბრაუნი, შენანი, მიტჩელი
3 ლ: ეშლი-კუპერი, ჰორვილი, კროუნი;
3 გ: ჟიტო; ჩ: ჟიტო
ახ. ზელანდია: მულიაინა, კაჰუ, სმიტი, ნონუ, სივივატუ, კარტერი, ცროუნი, სოიალო, მაკქოუ, კანიო, ვილიამსი, სორნი, სომერსვილი, ჰორი, ვუდკოკი
*სათადარიგოები:* მეალამუ, აფოა, ბორიკი, ტომსონი, ვიიპუ, დონალდი, ტოევა
*მთავარი მსაჯი:* ჯონატან კაპლანი
4ლ: მულიაინა, ვუდკოკი, ვიიპუ, კარტერი; 4 გ: კარტერი

# შავებმა ავსტრალია დააყაჩაღეს

## ახალმა ზელანდიამ ბრიზბენიდან ორი თასი წამოიღო



**ბრისბენში,** „სანკორპის" სტადიონზე ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის მატჩზე 52,328 მაყურებელმა მოიყარა თავი. „ოლ ბლექსმა" მასპინძლების ძლევით ზედიზედ მეოთხედ მოიგო სამი ერის გათამაშება.

ძველი მოწინააღმდეგეების ამ შეხვედრამ, ტრადიციულად გაამართლა რაგბის გულშემატკივრების მოლოდინი და დიდწილად მატჩისწინა პროგნოზებიც — სარაგბო საქმეებში ჩახედულები ამბობდნენ რომ სამ ერში საუკეთესო გუნდის გამოსავლენ მატჩში ორი ათი ნომრის დუელს თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებაო და ასეც მოხდა. ზელანდიელთა პივოტი, დენი კარტერი თითქმის უშეცდომო იყო, ფეხით დარტყმებით წერტილოვნად ბომბავდა ავსტრალიელების მიერ დაუცველ ადგილებს, პასებსაც დროულად და გონივრულად არიგებდა. კარტერს ფრთების გასაშლელად თანაგუნდელი მორკინალებიც უქმნიდნენ შესაფერის გარემოს — „ოლ ბლექსის" ფორვარდები რაქში ყველას და ყველაფერს პარსავდნენ, თავიანთი ბურთები უსწრაფესად გამოჰქონდათ და გამთამაშებლები დაცვაში ცუდად გადაწყობილი მეტოქისთვის პრობლემების შექმნის სწორედ აქიდან იწყებდნენ. ახალზელანდიელი მორკინალების აგრესიულმა თამაშმა ავსტრალიელებსაც არ მისცა საშუალება რაქიდან სწრაფი ბურთები გაეტანათ, უფრო მეტიც, „ვოლაბებმა" მიწაზე თამაში საკმაოდ მრავლად დაკარგეს ბურთი.

რაც შეეხება მეტ ჟიტოს, ავსტრალიელთა პივოტს - მას ხარვეზი ჰქონდა ფეხით თამაშში, ხშირად აყოვნებდა პირველ გადაცემას, რასაც ვერ ვიტყვით მის ინდივიდუალურ თამაშზე. მეტ ჟიტომ ავსტრალიელთა ორივე ლელოში ლომის წილი დაიდო. ზემოთაც ავღნიშნეთ, რომ ავსტრალიელთა შერკინებას აშკარად ჯაბნიდა მეტოქე და, აქედან გამომდინარე, ჟიტოსაც ნაკლები დრო და არეალი ჰქონდა შეტევის გამწვავებისთვის. ჟიტოს ინდივიდუალური დრიბლინგები და აქტიურობა სულაც არ მეტყველებს იმაზე, რომ ზელანდიელთა მესამე ხაზი ჩვეული აგრესიულობით არ თამაშობდა. უბრალოდ, მათი მთავარი ყურადღება რაქში უპირატესობის მოპოვებაზე და მოწინააღმდეგის შეტევების შენელებაზე იყო გადატანილი.

მატჩის პირველი ათი წუთი მასპინძლების უპირატესობით მიმდინარეობდა. თუმცა, მე-11 წუთზე კარტერის მიერ ფეხით დაკიდებული ბურთის შემდეგ რამდენიმეფაზიანი შეტევა ფულბეკი მაილს მულიაინას რეიდით დასრულდა, რომელმაც დაამთავრა ელემენტარული კომბინაცია. შეტევის ფრთაზე ზელანდიელებმა ერთი კაცით მეტს მოუყარეს თავი, რაც საკმარისი აღმოჩნდა ლელოს გატანისთვის.

ავსტრალიელებს მე-20 წუთზე ლელო უნდა დაედოთ, რომ არა მორკინალი პალუს წინდაუხედაობა, რომელმაც ვერ შეამჩნია ფრთაზე თავისუფლად მდგომი ორი თანაგუნდელი. ამ ეპიზოდს კი წინ უძღოდა ჟიტოს მიერ ხელსაყრელი მდგომარეობიდან საჯარიმო დარტყმის გაცუდება.

ტაიმი ავსტრალიელთა გამარჯვებით დამთავრდა. ეშლი კუპერმა, ისევ და ისევ ჟიტოს დაწყებული სოლო-რეიდის შემდეგ, რომელიც ჰაინსმა გააგრძელა, მოახერხა ზელანდიელთათვის ლელოს გატანა.

მეორე ტაიმის მე-5 წუთზე ჟიტო კვლავ გაძვრა-გამოძვრა მეტოქის დაწყობილ დაცვაში, რაქის შემდეგ ისევ ჟიტომ იჯადოქრა, მას კარგად წამოეხმარა მეორეხაზელი ჰორვილი და ლელოს ხაზთან ახლოს მყოფმა ბურთი ჯაჯგურ-ჯაჯგურით, დამცველ ზელანდიელებთან ერთად შეათრია ჩათვლის მოედანში.

ავსტრალიელები დაწინაურდნენ 17:10. ამის შემდეგ, თამაში თითქმის „ცალკარა" გახდა. ჯერ იყო და მრავალფაზიანი კომბინაციის შემდეგ ფრთაზე ვუდკოკი ისე გაიქცა, რომ ავსტრალიელთა სამმეოთხედელებიც და ფულბეკიც უკან მოიტოვა, შემდეგ სივივატუსა და ვიიპუს კომბინაცია დასრულდა ლელოთი. მატჩის დამთავრებამდე 12 წუთით ადრე მატჩის უდავო საუკეთესო მოთამაშემ, დენი კარტერმა მეოთხე ლელოც გაიტანა.

დარჩენილ წუთებში „ვოლაბიზი" მეტოქეს მიეძალა. ზელანდიელები მწყობრად იცავდნენ თავს, თუმცა მსაჯის სასტვენი რომ არა, შეიძლება ავსტრალიელებს საოცნებოდ ქცეული სამი ერის თასი, რომელიც 2001 წლის შემდეგ არ მოუგიათ, ახალზელანდიელებისთვის ჩამოერთმიათ. ერთადერთი, რასაც ავსტრალიელები გამორჩნენ, ყოფილი 13-კაცას ვარსკვლავის კროსის ლელო იყო.

ზელანდიელებმა ავსტრალიიდან სამი ერის თასი და ერთმანეთში საცილო „ბლედისლოუს" თასიც წამოიღეს. თუმცა ბლედისლოუს თასის მფლობელის ვინაობა წელს ჰონგ-კონგში კიდევ ერთხელ გადაწყდება, სადაც ავსტრალიელები და ზელანდიელები მორიგ ტესტ-მატჩს გამართავენ.

**ნიკა ძოპაძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახ. ზელანდია | 4 | 0 | 2 | 152:106 | 3 | 19 |
| ავსტრალია | 3 | 0 | 3 | 119:143 | 2 | 14 |
| სამხ. აფრიკა | 2 | 0 | 4 | 115:117 | 2 | 10 |

## ფედერაციის თასი

### ფინალი

**ესპანეთი 0:4 რუსეთი**

**ვერა ზვონარიოვა — ანაბელ მედინა-გარიგესი 6:3 6:4**

**სვეტლანა კუზნეცოვა — კარლა სუარეს ნავარო 6:3 6:1**

**კუზნეცოვა — მედინა-გარიგესი 5:7 6:3 6:4**

**ეკატერინა მაკაროვა-ელენა ვესნინა — ნურია ლაგოსტერა ვივესი-სუარეს ნავარო 6:2 6:1**



# ისევ რუსები...

**ქალთა** ჩოგბურთში რუსეთი დღეისთვის უდავოდ ყველა დანარჩენზე მაღლა დგას, რაც სლავებმა ამ უქმეებზე მადრიდში გამართულ ფედერაციის თასის ფინალში დაამტკიცეს, როცა უმაღლესი სანაკრებო ტიტული ბოლო 5 წელიწადში ეს მეოთხედ მოიგეს.

იმ პირობებში, როცა საუკეთესო ათეულის ნახევარი რუსებს გაუნაწილებიათ, გასაკვირი სულაც არ არის მათი ამდაგვარი დომინირება სანაკრებო შეჯიბრში. ასეთი მრავალფეროვანი და თანაც ძლიერი ნაკრების გამოყვანა დღეისთვის ნამდვილად არავის შეუძლია. ბოლო წლებში მათ მხოლოდ ბელგიელები თუ ეომებოდნენ ხოლმე, მაგრამ ჯერ კიმ კლასიტერსმა გადაწყვიტა ჩოგბურთიდან წასვლა, შემდეგ კი ჟუსტინ ენინმა და ბურთიც და მოედანიც (ამ შემთხვევაში კი კორტი) რუსებს დარჩათ. ისინიც შანსს არ უშვებენ ხელიდან და წლიდან წლამდე, თანაც განსხვავებული შემადგენლობით, ამტკიცებენ საკუთარ სიძლიერეს.

რუსებმა ამჯერედაც რამდენი ლიდერი ვერ იახლეს მადრიდში — მარია შარაპოვას ტრავმა ჰქონდა, ელენა დემენტიევამ და დინარა საფინამ, გადაღლილნი ვართ და ნაკრების თავი აღარ გვაქვსო. თამაშგარე დარჩა ანა ჩაკვეტაძეც, რომელმაც ლომის წვლილი დაიდო რუსთა ფინალამდე მისვლაში. თუმც სლავთა კაპიტან შამილ ტარპიშევს სადარდებელი მაინც არ ჰქონია, რადგანაც მის განკარგულებაში იყვნენ სვეტლანა კუზნეცოვა და ვერა ზვონარიოვა, რომლებიც ნებისმიერ შემთხვევაში აღემატებიან თითოეულ ესპანელ მეჩოგნეს.

ერთადერთი იმედი იმისა, რომ შეიძლება მეტ-ნაკლებად თანაბრი ბრძოლა გვეხილა, იყო ის, რომ საკუთარი ტრიბუნების წინ მოთამაშე და მათგან გამხნევებულ პირენეელებს ეგებ შეუპოვრობა მაინც გამოეჩინათ. თუმც არაფერი გამოვიდა — რუსებმა ძალიან იოლად იხეირეს.

სვეტლანა კუზნეცოვამ და ვერა ზვონარიოვამ შაბათს ძალიან მალე მოუთავეს საქმე საკუთარ მეტოქეებს — ორივე საათნახევარში ჩაეტია. პირველმა კარლა სუარეს ნავარო წალეკა და მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო. ზვონარიოვამ კი ანაბელ მედინა-გარიგესი დაამარცხა და ყველა დაარწმუნა, რომ რუსები ადვილად დაჩაგრავდნენ მეტოქეს.

მხოლოდ კვირას იმავე მედინა-გარიგესმა სცადა გარდატეხის შეტანა და კუზნეცოვა გვარიანად გააწვალა. რუსი პირველ სეტში 4:0-ს იგებდა, მაგრამ ესპანელმა პარტია სათავისოდ შეატრიალა და დაწინაურდა. მაგრამ ეს იყო და ეს — მედინა-გარიგესი მეტს ველარ შესწვდა, კუზნეცოვამ კი შეცდომები აღარ გაიმეორა და მომდევნო სეტების დამაჯერებლად მოგებით ნაკრებს მესამე, გამარჯვების ქულა მოუტანა.

„არც კი ვიცი, რა დამემართა, მაგრამ მატჩზე კონტროლი დავკარგე და კინაღამ დავისაჯე. თუმც შემდეგ შევძელი აზრზე მოსვლა და პრობლემა აღარ მქონია. ეს არ გამჭირვებია, რადგანაც უკვე საკმაოდ გამოცდილი ვარ და ვიცი, ასეთ მომენტებში როგორ მოვიქცე — პირადად ჩემთვის ეს ფედერაციის თასის მესამე ფინალი იყო. არადა, სულ პირველად რომ ვითამაშე ამ დონეზე, ძალიან ვნერვიულობდი და ბურთს ხეირიანადაც კი ვერ ვურტყამდი, რის გამოც ყველა შეხვედრა დავთმე. საბედნიეროდ, ახლა ასეთები აღარ მემართება" — ენად გაიკირფა ნამატჩევს კუზნეცოვა.

ესპანელებმა კი პრესტიჟის ქულაც ვერ აიღეს. კვირას ერთეულთა მეორე შეხვედრა აღარ ჩატარებულა, რადგანაც გამარჯვებულის ვინაობა უკვე გარკვეული იყო და აზრი არ ჰქონდა. წყვილთა მატჩში კი რუსთა ღრმა რეზერვისტებმა — ელენა ვესნინამა და ეკატერინა მაკაროვამ უშანსოდ დატოვეს სუარეს ნავაროსა და ნურია ლაგოსტერა ვივესის დუეტი.

**ბახა ლოგაშვილი**

### კაცები

ბუქარესტი. რუმინეთი. თიხნარი

საპრიზო 370 000 ევრო

### ნახევარფინალი

**კარლოს მოია (6, ესპანეთი) — რიშარ გასკე (1, საფრანგეთი) 6:2 6:4; ჟილ სიმონი (2, საფრანგეთი) — ხოსე აკასუსო (8, არგენტინა) 4:6 7:6 6:4**

### ფინალი

**სიმონი — მოია 6:3 6:4**

**ჟილ სიმონმა** ბუქარესტში წარმატებით დაიცვა ტიტული. ეს ფრანგისთვის წლეულს უკვე მესამე ტიტულია. ასეთი მოსავლიანი სეზონი ამ ბიჭს აქამდე არასოდეს ჰქონია. ფინალში გალი ვეტერან კარლოს მოიას დამაჯერებლად გაუსწორდა და ყველაფერი საათსა და 20 წუთში მოათავა.

ამ მოგებით სიმონმა სერიოზულად გაიუმჯობესა წლის შემაჯამებელ, მასტერსის თასზე მოხვედრის შანსები. ფრანგი რეიტინგში მე-12 პოზიციამდე ალზევდა და ახლა შანხაიში წამსვლელ ბოლო, მერვე ადგილზე მყოფ ჯეიმს ბლეიკს მხოლოდ 48 ქულითლა ჩამორჩება.

### ქალები

ბალი. ინდონეზია. ჰარდი

საპრიზო 225 000 დოლარი

### ნახევარფინალი

**ტამირა პაშეკი (ავსტრია) — დანიელა ჰანტუხოვა (1, სლოვაკეთი) 6:2 5:7 6:4; პატი შნიდერი (2, შვეიცარია) — ნადია პეტროვა (4, რუსეთი) 7:5 6:1**

### ფინალი

**შნიდერი — პაშეკი 6:3 6:0**

**პატი შნიდერმა** ბოლოს ტურნირის მოგების გემო სამწელიწადნახევრის წინ გასინჯა, მას შემდეგ კი ერთ ტიტულსაც ველარ შესწვდა. შვეიცარიელმა, როგორც იქნა, გატეხა ნავსი და ინდონეზიურ ბალიზე არც-თუ წარმომადგენობითი, მაგრამ საკმაოდ მაღალი დონის ტურნირი მოიგო, რაც მისთვის მე-11 საკარიერო ტიტული გამოდგა.

ფინალი წმინდად ალპური გამოვიდა — შნიდერი ავსტრიელ თინეიჯერ ტამირა პაშეკს შეხვდა და, ბევრის გასაკვირად, ძალიან იოლად დასცა. შვეიცარიელმა მხოლოდ სამი გეიმი დათმო.

„რა თქმა უნდა, გახარებული ვარ. რამდენი ხანია, ტურნირი არ მომეგო. უკვე რვა კვირაა, სახლში არ ვყოფილვარ და ლამის მთელი მსოფლიო მოვიარე, რის გამოც ძალიან დაღლილი ვარ. საბედნიეროდ, შინ კარგ ხასიათზე დავბრუნდები".



la vuelta'08

**63-ე ლა ვუელტა ესპანა. 30 აგვისტო — 21 სექტემბერი**

# კონტადორის კონტრარგუმენტები

**ძნელი** სათქმელია, თანამედროვე ველოსპორტში ვინაა ყველაზე გამძლე მთიელი, მაგრამ წლეულს ესპანეთის მთებში ალბერტო კონტადორს კონკურენტი რომ არ ჰყავს, ეს კიდევ ერთხელ გამოჩნდა კვირას, მე-14 ეტაპზე, რომელიც 25 წლის ესპანელმა დამაჯერებლობის სრული შეგრძნებით მოიგო.

არადა, ერთი დღის წინ კონტადორს დაეპყრო უსაშინლესი ალტო დე ლანხლირუ და საერთო ჩათვლაშიც ასე მოეპოვებინა ლიდერობა. მრბოლებს ფინიში ამ ჯერზეც აღმართში ელოდათ და მიუხედავად იმისა, რომ ეს მთა შედარებით ზომიერი იყო და თავზარს არ სცემდა მოიერიშეებს, გამარჯვების პრეტენდენტებს კიდევ ერთხელ მიეცათ თავისი ძალის დამტკიცების საშუალება.

აღმართი ფინიშამდე 42 კილომეტრში დაიწყო და ხოლო ბოლო 15 კილომეტრზე სიარული საგრძნობლად გაჭირდა. პელოტონი ჯგუფებად და დაიყო ყველა კარგმა მთიელმა თავი მოიყარა წვერში — კონტადორი, სასტრე, მოსკერა, ლეიფეიმერი, ვალვერდე... ყველა მზად იყო საბოლოო შეტევისთვის, თუმც ეს მხოლოდ გარედან ჩანდა ასე, რეალურად კი ფეხებში ძალა მხოლოდ კონტადორს შერჩენოდა და ისიც ფინიშამდე ორიოდე კილომეტრით ადრე მოსწყდა მოწინავე ჯგუფს. ვერავინ შეძლო გაყოლა და კუდში ჩაჯდომა, ეგაა, ლეიფეიმერმა და მოსკერამ ცოტა აუჩქარეს და სცადეს რაც შეიძლება მინიმალური ოდენობით წაეგოთ წამები: ბოლოს თითქმის დაეწივნენ კიდეც, ოღონდ კონტადორს უკვე განაღდებული ჰქონდა ზედიზედ მეორე ეტაპის მოგება და ბოლო 200-ოდ მეტრზე ცოტა დაასვენა გადახურებული სხეული. სწორედაც მოიქცა, ვუელტა ხომ ჯერ არ დასრულებულა, წინ კიდევ მომქანცველი ერთი კვირაა და მიუხედავად იმისა, რომ სამთო ეტაპი ერთიღა დარჩა, თავს მაინც დაზოგვა უნდა.

და სად იყვნენ ამ დროს სასტრე და ვალვერდე? იქვე იყვნენ, ბოლო აღმართს შეყოლილ მოწინავე ჯგუფში ისხდნენ, მაგრამ კონტადორის შეტევამდე გამოეთიშნენ ბრძოლას. ვალვერდეს ფეხებში სპაზმები დაეწყო და ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე შეწყვიტა გეგმაზომიერი მუშაობა, რითაც კონტადორთან წუთი წააგო და ჯამში ზუსტად ექვსი წუთით ჩამორჩა, ეს კი უკვე მარცხს ნიშნავს (უკვე მერამდენე?) ამის შემდეგ უნიჭიერეს მრბოლს და მარადიულ ფავორიტს ჰოლანდიელმა რობერტ ხესინკმაც ამოაგდო საპატიო ხუთეულიდან.

რაც შეეხება სასტრეს, წლევანდელ ტურ დე ფრანსის ჩემპიონმა ბოლო კილომეტრებზე უკეთ იმუშავა და კონტადორს მხოლოდ 20 წამით ჩამორჩა. საერთო ჩათვლაში ის თითქმის ოთხ წუთს აგებს, მაგრამ თითქმის წუთს უგებს მეოთხეზე მყოფ მოსკერას და მისთვის საბოლოო რეალური სამიზნეც გამოისახა — მესამე ადგილი ურიგო შედეგი არ იქნება დაქანცული ვარსკვლავისთვის.

**ირაკლი ფირაშვილი**



**მე-13 ეტაპი. ოვიედო — ფუენტეს დე ინვიერო. 158 კმ**

| | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | 4 სთ 16 წთ 1 წმ |
| 2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, ასტანა) | +2 წმ |
| 3. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „კაის დეპარნი") | +4 წმ |
| 4. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია „რაბობანკი") | +20 წმ |
| 5. დევიდ მონკუტიე (საფრანგეთი, „კოფიდისი") | +20 წმ |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „ასტანა") | +55 სთ 56 წთ 58 წმ |
| 2. ლევი ლეიფეიმერი (აშშ, ასტანა) | +1 წთ 17 წმ |
| 3. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) | +3 წთ 41 წმ |
| 4. ეზეკილ მოსკერა (ესპანეთი, „ხასობეო გალისია") | +4 წთ 35 წმ |
| 5. რობერტ ხესინკი (ჰოლანდია „რაბობანკი") | +5 წთ 49 წმ |

# მიმიშვით პაკიაოსთან!

## ფილიპინელზე გაწეულ მექსიკელს კუბელი შემოელახა

**ამ უქმეებზე** ლას ვეგასის ცნობილ „MGM გრანდში“ გაიმართა ძალიან საინტერესო ბრძოლა რამდენიმე წონაში ორ ექსჩემპიონ — მექსიკელ ხუან მანუელ მარკესსა და კუბელ ხოელ კასამაიორს შორის.

ამჯერად ორივეს წონა ჰქონდა მომატებული და ამიტომ ბრძოლა საშუალო წონის ფარგლებში იმართებოდა. მართალია, ფსონად არც ერთი საჩემპიონო ქამარი არ იდო, მაგრამ ამ ჯახს ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — კასამაიორს უნდა დაემტკიცებინა, რომ კიდევ შეუძლია უმაღლეს დონეზე დარჩენა. 35 წლის მარკესისთვის კი ეს ელიტაში გასაკვლევი ბოლო შანსი იყო. უკვე 10 წელიწადია, მექსიკელი საუკეთესოებს შორის ტრიალებს, მაგრამ მუდმივად ვიღაცის ჩრდილშია და ვერაფრით ახერხებს იმ აღიარების მოპოვებას, რასაც იმსახურებს. ბოლო წლებში კი მას სისხლი მენი პაკიაომ გაუშრო. არადა, ჩვენში რომ დარჩეს, მარკესი არავიზე ნაკლები არ არის, რაც მან ფილიპინელთან ორივე ბრძოლაში საქმით დაამტკიცა, როცა 2004 წელს მათი ბრძოლა ფრედ დასრულდა, შარშან კი აზიელს მსაჯებმა ძალიან საეჭვო გამარჯვება მიაკუთვნეს. ამის მიუხედავად, მთელი საკრივო სამყარო მაინც პაკიაოს დაჰფოფინებს თავზე, მარკესი კი არავის აინტერესებს.

ჰოდა, მექსიკელს ეს გამარჯვება აუცილებლად სჭირდებოდა იმისთვის, რომ ან პაკიაოსთან მესამედ დაჯახების უფლება მოეპოვებინა, ანაც უახლოეს მომავალში რომელიმე ქამრისთვის ბრძოლის საშუალება მისცემოდა.

როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი სწორედ ამ მოტივაციამ გადაწყვიტა — მარკესს ძალიან უნდოდა მოგება და ამიტომ ბრძოლისთვის უკეთესადაც იყო მომზადებული. 1992 წლის ბარსელონას ოლიმპიურმა ჩემპიონმა და პროფესიულ რინგზე აქამდე დაუმარცხებელმა კასამაიორმა კი მართლაც ვერაფერი გააწყო მექსიკელთან. კუბელი თავის დროზე ვერც დიეგო კორალესმა გალახა, ვერც აკელინო ფრეიტასმა და ვერც ხოსე ლუის კასტილიომ, მაგრამ ჩვენი დროით კვირას დილით მარკესისგან მაგრად მოხვდა.

ისე, მექსიკელი დიდ ნოკაუტიორად არასოდეს ითვლებოდა, მაგრამ ამჯერად იმდენად სწორად წარმართა ბრძოლა და ისეთი კარგი კომბინაციები გაატარა, რომ ჯახის მიწურულს კუბელის ნახვა დიდი საცოდაობა იყო.

არადა, კასამაიორმა კარგად დაიწყო და საწყისმა რაუნდებმა მისი უპირატესობით ჩაიარა. თუმც ეს დიდწილად იმის ბრალი უფრო იყო, რომ მექსიკელი „ეჩვეოდა“ თავისთვის უჩვეულო წონას და ამიტომ ზედმეტად აქტიურობას ერიდებოდა. დაახლოებით მეხუთე რაუნდიდან კი მარკესმა მყარად იპყრო უპირატესობა — უპირველესად ტემპს უმატა, რისთვისაც კუბელი მზად არ აღმოჩნდა. ამიტომ კასამაიორს მუდმივად უკან დახევა და სირბილი უწევდა, მეტოქის სწრაფი შეტევებისთვის როგორმე თავი რომ დაეღწია.

ყველაფერთან ერთად აღმოჩნდა, რომ მარკესი ტაქტიკურადაც კარგად იყო მომზადებული, რადგანაც მან ფაქტობრივად გაანეიტრალა კუბელის უმთავრესი იარაღი — უძლიერესი მარცხენა ჰუკი. ამის გარეშე კი კასამაიორს არანაირი შანსი არ ჰქონდა.

მოკლედ, ყველაფერს ბოლო მეთერთმეტე რაუნდში მოეღო, როცა მარკესმა უძლიერესი აპერკოტით მეტოქე მძიმე ნოკდაუნში ჩააგდო. კუბელი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და ბრძოლის გაგრძელებაც სცადა, მაგრამ მექსიკელს საქმის გაჯანჯლება ნამდვილად არ აწყობდა. მისი მორიგი შეტევის შემდეგ კასამაიორი კიდევ ერთხელ დავარდა ფიცარნგზე, რის შემდეგაც მთავარმა რეფერიმ ბრძოლა შეწყვიტა და მარკესს ტექნიკური ნოკაუტით გამარჯვება ჩაუთვალა.

„უფრო ჭკვიანურად ვიჩხუბე და ამიტომაც ვიმარჯვე. თავი კარგად დავიცავი, რამაც შეტევაში დარტყმების მრავალფეროვანი კომბინაციების განხორციელების საშუალება მომცა. ყველაფერმაქამან გამარჯვება მომიტანა“ — ასე შეაჯამა ბრძოლა ნამატჩევს მარკესმა.

**კახა ლომაშვილი**







ვალენტინო როსი

# ვალენტინობა ძველ საგურეზე

**მსოფლიოს** ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ეტაპით ადრე მოტორბოლის იტალიელი „დოქტორი“ ვალენტინო როსი გენერალურ კლასიფიკაციაში თავის უახლოეს მდევარს, ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონს, ავსტრალიელ კეისი სტოუნერს 87 ქულას უგებს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ „სამეფო“, მოტოჯიპის კლასში წლევანდელი საჩემპიონო ინტრიგა ამოწურულია — დარჩენილ ოთხ ეტაპზე მაქსიმუმ 100 ქულა თამაშდება და სასწაული უნდა მოხდეს, რათა დიდებულ ფორმაში მყოფმა „დოქტორმა“ ორწლიანი შესვენების შემდეგ ტიტული არ დაიბრუნოს და „სამეფო“ კლასის მეექვსე გვირგვინი არ დაიდგას.

კვირას როსიმ ბრწყინვალე სტილში იმარჯვა ინდიანაპოლისის ლეგენდარულ ოვალზე, ამერიკელები „ძველ საგურედ“ რომ მოიხსენიებენ.

ინდიანაპოლისის ოვალი პირველად მასპინძლობდა საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპს, რომელსაც ასეც ერქვა — ინდიანაპოლისის დიდი პრიზი, რადგანაც უშუალოდ ამერიკის შეერთებული შტატების დიდ პრიზს წლეულს უკვე უმასპინძლა ლაგუნა სეკას არანაკლებ ლეგენდარულმა ავტოდრომმა.

სწორედ ლაგუნა სეკაზე დაიწყო როსის ფანტასტიკური სერია. მანამდე „დოქტორი“ სტოუნერს საერთო ჩათვლაში ოდენ 20 ქულას უგებდა და როდესაც ლაგუნა სეკაზე გამართულ დრამატულ ბრძოლაში იტალიელმა აჯობა ავსტრალიელს, სტოუნერი ფსიქოლოგიურად გატყდა. მას შემდეგ გამართულ სამ რბოლაში მოქმედმა ჩემპიონმა ოდენ 13 ქულას მოუყარა თავი, ხოლო როსიმ ლაგუნა სეკაში გამარჯვებას ჩეხეთის და სან მარინოს დიდი პრიზებიც მიაყოლა და გასულ კვირას ინდიანაპოლისშიც იპირველა.

მთელი გასული უქმეები ინდიანაში კოკისპირულად წვიმდა და უამინდობამ გვარიანად აურია ორგანიზატორებს დავთრები. ისე მოხდა, რომ „საშუალო“, 250-იანთა კლასში კვირას რბოლის გამართვა საერთოდ ვერ მოხერხდა, ხოლო „სამეფო“ და „უმცროს“, ანუ 125-იანთა კლასში, შესაბამისად 28 და 23 წრის ნაცვლად მოტომხედრებმა მხოლოდ 20 და 17 წრე გაიეს.

როსისთვის არც ავი ტაროსი ყოფილა პრობლემა, იტალიელმა დიდოსტატმა თავისი „იამაჰათი“ კვალიფიკაციაც მოიგო და არც რბოლისას დაუტოვა მეტოქეებს შანსი — უახლოესი მდევარი 6 წამით ჩამოიტოვა და „სამეფო“ კლასში სარეკორდო, 69-ე გამარჯვება მოიპოვა. მეორე ადგილზე რბოლის მასპინძელი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ნიკი ჰაიდენი გავიდა „ჰონდათი“, ხოლო მესამე როსის ესპანელი თანაგუნდელი ხორხე ლორენცო იყო.

რაც შეეხება 125-იანთა კლასს, იქ ესპანელების, ნიკოლას ტეროლისა და პოლ ესპარგაროს დუელში ტეროლმა იმარჯვა და კარიერაში პირველი გამარჯვება იზეიმა. საერთო ჩათვლაში კი წინ კვლავაც ფრანგი მიშელ დი მელიოა, ვინც 25 ქულას უგებს იტალიელ სიმონე კორსის.

**კახა ლომაძე**

**მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში**
**XIV ეტაპი. ინდიანაპოლისის დიდი პრიზი. 14 სექტემბერი**

**მოტო GP (20 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა“) | 37 წთ 20,095 წმ |
| 2. ნიკი ჰაიდენი (აშშ, „ჰონდა“) | 37.26,067 |
| 3. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა“) | 37.27,954 |
| 4. კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი“) | 37.48,257 |
| 5. ანდრეა დოვისიოზო (იტალია, „ჰონდა“) | 37.48,919 |

საერთო ჩათვლა: 1. როსი 287 ქულა; 2. სტოუნერი 200; 3. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა“) 193; 4. ლორენცო 156; 5. დოვისიოზო 129

**125 კბ/სამ (17 წრე)**

| | |
|---|---|
| 1. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია“) | 29 წთ 51,350 წმ |
| 2. პოლ ესპარგარო (ესპანეთი, „დერბი“) | 29.53,058 |
| 3. შტეფან ბრადლი (გერმანია, „აპრილია“) | 29.55,334 |
| 4. სკოტ რიდინგი (ბრიტანეთი, „აპრილია“) | 29.55,627 |
| 5. სანდრო კორტეზე (გერმანია, „აპრილია“) | 29.55,763 |

საერთო ჩათვლა: 1. მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი“) 192 ქულა; 2. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია“) 167; 3. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია“) 149; 4. ბრადლი 142; 5. ტეროლი 138

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge